პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით
წლიწადი მესამე

კომუნისტი

ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მაზრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია:
ტფილისი, კრუზენ ქ
№ 4. მე-3 სართული

მთავარი კანტორა:
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
მე-2 სართული ტელეფ. 5—46

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით განცხადება—50 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 1 მილ. მ.

№ 52 ოთხშაბათი, 7 მარტი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000 მან. № 52

დღიური

ახლო აღმოსავლეთში: ლონდონში ფიქრობენ რომ ახლო-აღმოსავლეთში მოსალოდნელია საქმის გართულება, [illegible] ტოვებს მოკავშირეთა სამხედრო გემებმა, ეკონომიურმა კონგრესმა დაადგინა საზღვაო სამინისტროს დაარსება [illegible] ში და ბეირუთში იმართება საფრანგეთის საწინააღმდეგო დემონსტრაციები.

გერმანიაში: რეიხსტაგის მოწვევა, კუნოს განცხადება საფრანგეთთან დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ, გერმანია აპირებს წინააღმდეგობის გაძლიერებას.

საქართველოს პარტიული და საბჭოთა პრესის
ცენტრალ. კანტორაში
(ყოფ. „გაზ. ტრესტი“, რუსთაველის პრ. № 24)
მიიღება ხელის მოწერა
მოსკოვის ყველა გაზეთებზე
გაზეთის გამოწერა შეიძლება მარტისათვის ადგილებზე გადაგზავნით.
(3—2)

7 მარტიდან გამოვა გაზეთი
„РАБОЧАЯ ПРАВДА“
ხელის მოწერის ფასი
პირველ აპრილამდე - 100,000 მანეთი.
ცალკე ნომერი 5.000 მან.
მისამართი: რუსთაველის პროსპექტი № 14.
ტელ, 13—18.
ამხანაგებო მუშებო! გამოიწერეთ თქვენი გაზეთი.

მენშევიკური პარტიის გახრწნა გრძელდება

როგორც რუსეთის, ისე საქართველოს მენშევიკების პარტიაში საკმაო მნიშვნელობის ამბები ხდება ამ ბოლო დროს.

ჩვენ უკვე ავღნიშნეთ რუსეთის მენშევიზმის ცნობილი მეთაურების მარტინოვის და როჟკოვის გამოსვლები. პირველის ფრიად საყურადღებო დასაბუთებული წერილი, რომელშიც ის სწავს რასაც წინეთ ეთაყვანებოდა, ქარცეცხლში ატარებს მენშევიკების თეორიას და პრაქტიკას და დგება პროლეტარულ რევოლიუციის და კომუნისტურ პარტიის პლატფორმაზე,—ახლა იბეჭდება ჩვენს გაზეთში.

ამ დღეებში ჩვენ გამოვაქვეყნეთ საქართველოს მენშევიკური პარტიის ძველი და თვალსაჩინო წევრების— ა. თევზაიას და გელეიშვილის წერილები, რომლებშიც ისინი უარს აცხადებენ საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაზე.

დღესაც ვათავსებთ არსებითად ამავე ხასიათის დოკუმენტს, რომელშიც ამასთან გამომჟღავნებულია ისეთი სკანდალური ფაქტები, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეთ მხოლოდ იდეიურად გაკოტრებულ და ორგანიზაციულად გახრწნილ პარტიაში.

საერთოდ ლტოლვამ მენშევიკური პარტიიდან მიიღო მასიური ხასიათი, რის დამამტკიცებელი ფაქტები დრო გამოშვებით აღინიშნებოდა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

მენშევიკების პარტიიდან, რომელიც ერთ დროს საკმაოდ მძლავრ ორგანიზაციას წარმოადგენდა, დღეს მხოლოდ უბადრუკი ნამსხვრევები და დარჩა. მენშევიკებმა, რომელთაც თავი მოჰქვთ მასსიურ ორგანიზაციად, ორი წლის განმავლობაში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან, ვერ მოახერხეს ვერც ერთი მასიური გამოსვლის მოწყობა. ყოველმა ასეთმა ცდამ გამოააშკარავა მათი სრული უილაჯობა და უძლურება. მშრომელი მასსა მათ სავსებით ჩამოშორდა, და მათ ღირსეული მოკავშირეები ჰპოვეს მხოლოდ საზოგადოების ნაძირალებში და ისტორიისაგან საბოლოოდ განწირულ ელემენტებში.

სამაგიეროდ, პარალელურად ხდებოდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება. კომუნისტური პარტიის გარშემო თავი მოიყარა ქვეყნის მთელმა მშრომელმა ხალხმა.

ეს უდავოა ყველა მიუდგომელი და ...იანი მეთვალყურისათვის. ეს ...ჯერ ნათელყო, სხვათა შორის, განვლილმა 25 ოქტომბრის და ... თებერვლის დღესასწაულებმა, რომლებიც განსაკუთრებული ზეიმით ჩატარდნენ.

რით აიხსნება მენშევიკური პარტიის შეუჩერებელი გახრწნა?

მიზეზი უნდა ვეძიოთ მენშევიკების კონტრ-რევოლიუციონურ სოციალურ ბუნებაში და მათი ავანტიურისტულ მოქმედებაში.

მათ გაყიდეს მუშათა კლასი, უარყვეს რევოლიუცია; ისინი გახდნენ ლაქიები იმპერიალისტების, რომლებსაც მოაქვთ ჩვენი ხალხისათვის სოციალური და ნაციონალური მონობა. ისინი მოუწოდებენ დასავლეთის ყაჩაღებს ჩვენი ქვეყნის ინტერვენციისათვის; ამასთანავე ცდილობენ ქართველი ხალხი ჩაითრიონ ავანტიურაში, შეიარაღებულ აჯანყებაში მუშურ-გლეხური მთავრობის წინააღმდეგ. აბა მათ რაში ენანებათ ხალხის სისხლი, ოღონდ მიაღწიონ თავიანთ შავ ზრახვას—რევოლიუციის დასამარებას, თავიანთი ბატონობის აღდგენას და ბურჟუაზიული წყობილების რესტავრაციას. მაგრამ ეს მიზნები ძირითადათ ეწინააღმდეგებიან სასიცოცხლო ინტერესებს ქართველი მშრომელი ხალხისას, რომელიც მხოლოდ რევოლიუციის გამარჯვებასა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში ხედავს თავის ხსნას. და გასაგებია, რომ ხალხმა მათ საბოლოოდ შეაქცია ზურგი. ამგვარად მენშევიკებს არავითარი იმედი არ დარჩენიათ შინაური ძალებით, ხალხის აჯანყების გზით კონტრრევოლიუციონური გადატრიალების მოხდენის.

ასევე უსაფუძვლო აღმოჩნდა იმედი ბურჟუაზიულ ევროპაზე, გარეშე ძალაზე. პუანკარეს და კერზონს ჩვენი მენშევიკები სად გაახსენდებათ, როცა მათ სამფლობელოს იქაური პროლეტარიატი გადაწვას და აფეთქებას უმზადებს, როცა თვით ისინი, დღევანდელი ევროპის დირიჟორები, კაპიტალისტური რეჟიმით შექმნილ გამოუვალ წინააღმდეგობათა ქსელში არიან გახლართულნი და ერთმანეთის ჩამოსახრჩობათ აქვთ ხელები გაშვერილი.

სრული უიმედობა და გარიყვა ყოველ მხრივ—აი მენშევიკების მწარე ხვედრი.

მათ შეთხელებულ და დანგრეულ რიგებში არის ხალხი, რომელსაც, როგორც კუზიანს, მხოლოდ სამარე გაასწორებს. მათთვის ამაოდ ჩაიარა უკანასკნელ წლების გაკვეთილებმა, რომლებსაც უხვად იძლევა როგორც ევროპის, ისე საბჭოთა ფედერაციის ცხოვრება.

მაგრამ არიან ისეთი ელემენტებიც რომლებიც შეაფიქრიანა და შეარყია იმედების დამსხვრევამ კონტრრევოლიუციური მიზნების განხორციელების შეუძლებლობამ. მათ ეჭვი შეეპარათ მენშევიკების მსოფლიო მხედველობის და ტაქტიკის სისწორეში. ისინი შეუდგნენ მოვლენათა გადაფასებას. ამ გადაფასებამ ბევრი მათი პარტიიდან, უმთავრესად ქვედა ფენები საბჭოთა ხელისუფლების და კომუნიზმის აღიარებამდე მიიყვანა. ბევრი კიდევ ჩამოშორდა პოლიტიკურ მუშაობას. ამ მხრივ კერძოდ აღსანიშნავია, როგორც მოვიხსენიეთ, თევზაიას და გელეშვილის გამოსვლები.

ეს პროცესი მენშევიკური პარტიის დაშლისა თანდათან ღრმავდება. მის ისედაც ნაკუწ-ნაკუწად ქცეულ რიგებში სწარმოებს განუწყვეტელი ბრძოლა მათი ძველი ტაქტიკის მომხრეთა და მის გადამფასებელთა შორის. ამ ბრძოლის ერთი მახინჯ სურათს რამოდენიმედ ხდის ფარდას დღეს გამოქვეყნებული დოკუმენტიც.

ისტორიის ლოღიკა მენშევიკური პარტიის დაშლას ბოლომდე მიიყვანს. ის მცირერიცხოვანი მისი ნაწილიც, რომელი ამდენ ხანს შერჩა მას და რომელიც საბოლოოდ არ დაკარგულა მუშათა კლასისათვის, როგორც დროებითი დაბნეული შვილი, გამოფხიზლდება და დაუბრუნდება თავის ნამდვილ ოჯახს.

მენშევიკური პარტიიდან მწარე მოგონება და დარჩება.

ეს დრო შორს არ არის. ჩვენს ამოცანას შეადგენს მენშევიკური პარტიის აღსასრულის დაჩქარება.

აშკარა ძარცვა-გლეჯა დიდ გზაზე

რომ ბურჟუაზია მძარცველი და მტაცებელია, ეს ახალი ამბავი არაა. ეს აშკარა და ცხადია საერთოდ თვით მისი გაჩენის დღიდანვე, და სწორეთ ამაზეა აგებული პროლეტარიატის ერთი ლოზუნგთაგანი: ექსპროპრიაცია ექსპროპრიატორებისა.

მაგრამ თუ ეს სწორი და მართალი იყო საერთოდ, და მასთან პროლეტარიატის ავანგარდის და ერთგულ ხელმძღვანელებისათვის, სამაგიეროთ, **მთელი** მუშათა კლასი და განსაკუთრებით კი მისი ქვედა ფენებისათვის ის ვერ იყო საკმაოთ შეცნობილი და დაფასებული. ჩამორჩენილი მშრომელი მასები ჯერ კიდევ ვერ არიან სავსებით განთავისუფლებულნი ყველა ქვეყნებში ბურჟუაზიის იდეურ გავლენისაგან და იარაღითაც კი იცავენ ამ უკანასკნელების მონურ ბატონობას იმ სასტიკ და ძლიერ იერიშებისაგან, რომლებიც მიაქვს მსოფლიო პროლეტარიატის რევოლიუციონურ ავანგარდს ამ მძარცველთა ბატონობის ციხე-სიმაგრეებზე.

რომ ეს ასეა, ეს დაამტკიცა მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა და შემდეგ კი სასტიკმა სამოქალაქო ომებმა რევოლიუციონურ პროლეტარიატსა და ბურჟუაზიის შორის. პირიქით ეს ჩამორჩენილი ბნელი მასები ბურჟუაზიის განუწყვეტელი ჩიჩინით ფიქრობდენ, რომ მძარცველები და მტაცებლები სწორეთ ბოლშევიკები არიანო, ვინაიდან მათ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ გარეკეს ქალაქის და სოფლის მესაკუთრენი და თვითონ დაეუფლენ სხვისი ოფლით ნაშრომსა და ნაამაგარსო. რასაკვირველია ეს იყო ბურჟუაზიისა და მათი დამქაშების — სოციალ-გამცემლებისა და გამყიდველების ჩანაძახი, რომელსაც ეს შეუგნებელი ნაწილი მშრომელი ხალხისა უკრიტიკოთ იმეორებდა.

მაგრამ დღეს, დიადი პროლეტარული რევოლიუციის ხუთი წლის შემდეგ, როდესაც აღმოსავლეთი ევროპა და აზიის ნახევარი მოფენილია სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკებით, რომლებშიაც გაბატონებულია მზის სინათლეზე გამოსული მუშათა კლასი, და რომელსაც წინამძღოლობენ სწორედ ეს „წყეული მძარცველი“ ბოლშევიკები, დასავლეთ ევროპის ჩამორჩენილი მასებიც ერკვევიან სინამდვილეში და სისწორით აფასებენ კომუნისტების რევოლიუციონურ საქმიანობას მშრომელი ხალხის სასარგებლოთ.

მეორე მხრით კი ისინი ნათლად ამჩნევენ, რომ მძარცველი და მტაცებლები სწორედ მათი თანამემამულე გაბატონებული კლასებია, რომლებიც არავითარ ცილისწამებას არ დაერიდებიან, რომ როგორმე გაიხანგრძლივონ თავიანთი უხეში ბატონობა მუშათა კლასზე. რურის ოლქის ოკუპაცია საფრანგეთის ბურჟუაზიის მიერ ამის საუკეთესო დამამტკიცებელ საბუთს იძლევა.

როდესაც რევოლიუციონური პროლეტარიატი, მოქცეული სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში, მიმართავდა თავის დასაცავად და რესპუბლიკის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობის საკეთილდღეოთ ისეთ ეკონომიურ და პოლიტიკურ ღონისძიებებს,—სახელდობრ ფაბრიკა-ქარხნებზე კერძო საკუთრების მოსპობასა და მიწების ნაციონალიზაციას,—რომლებიც მიმართული იყო მცხოვრებთა ერთი მუჭა მუქთა-ხორების წინააღმდეგ მათი ეკონომიური სიძლიერის და მასზე აგებული სულიერი ბატონობის აღმოსაფხვრელად, მაშინ ბურჟუაზიის იდეოლოგები და მათი ლაქია—„სოციალისტები“ ყოველ გზა-ჯვარედინზე ხმა მაღლა გაჰკიოდენ ბოლშევიკების „ვერაგულ“ ქცევასა და მათ მიერ კერძო საკუთრების დატაცებაზე.

შეჩვეულებს მუშათა კლასის ყვლეფასა და მათ ნაოფლარზე უდარდელათ ცხოვრებას, მათ ვერ წარმოედგინათ პროლეტარიატისათვის ანგარიშის გასწორება და მის მიერ განაძარცვი ქონების პროლეტარიატისათვის უკანვე დაბრუნება. ხოლო, როდესაც ამ უკანასკნელმა ძალით მიყო ხელი ბურჟუაზიის განაძარცვის და უფლებას და მის გამოცხადებას საერთო სახალხო კუთვნილებათ, მთელი ხროვა ბურჟუაზიის ყალბზე შესდგა და ქვეყნიერებას ყურები გამოუჭედა ძახილით, რომ ბოლშევიკები ძარცვავენ მთელ ხალხსო. და ამას იმეორებდენ მათი ერთგული აგენტები: სხვადასხვა ქვეყნის სოციალ-გამცემლები, რომლებიც მოუწოდებენ მუშათა კლასს ხმა აღემაღლებია ბოლშევიკების წინააღმდეგ.

სანამ ბურჟუაზიის ძარცვა ვერ იყო კიდევ აშკარა და ნათელი მუშათა კლასის ჩამორჩენილ წრეებისთვის, მუშათა კლასის გამცემლების ამ მოწოდებას რამდენიმეთ გასავალი ქონდა. მაგრამ ბურჟუაზია უნებლიეთ ფარდას იხდის და ყველასათვის აშკარა დასანახათ ხდის თავის ძარცვა-გლეჯის პოლიტიკას. საფრანგეთის ბურჟუაზიის მიერ რურის ოლქის ოკუპაცია და მის მიერ იქ ჩადენილი საქმენი საგმირონი ამის აშკარა დამამტკიცებელია.

ბურჟუაზიის ეს საქმენი საგმირონი მოგვაგონებს ჩვენ გამოცდილ ყაჩაღების ძარცვა-გლეჯას დიდ შარა გზაზე დღისით. ამას აშკარათ ამჩნევს ყველა იმ ცნობების მიხედვას, რომლებიც შეეხება საფრანგეთის ბურჟუაზიის მიერ რურის ოლქის ოკუპაციას.

1) რეკვიზიციების სისტემა, რომლებიც შემოღებულია ფრანგების მიერ რურის ოლქში, ვრცელდება არა მარტო ნახშირზე, არამედ აგრეთვე ორთქლმავალებსა, რკინისგზის მოძრაობის შემადგენლობასა, ფულის თანხასა, ოჯახში მოსახმარ საგნებსა და სხვებზე. რეკვიზიციას აწარმოებენ ფრანგები როგორც ღამით, ისე დღისითაც.

2) ვანაში ფრანგებმა პირველი შეტევის დროს ხელთ იგდეს 500 ლოკომოტივი და ვაგონი. მეორე შეტევის დროს კი 14 ლოკომოტივი, 40 სამგზავრო ვაგონი, 46 საბარგო ვაგონი და 160 ვაგონი დატვირთული საქონლით.

ბერლინის გაზეთები სავსეა ცნობებით იმ ახალ ძალმომრეობასა და ძარცვა-გლეჯის შესახებ, რომელსაც ჩადიან ფრანგები რურის ოლქში.

3) ფრანგებმა მოახდინეს 140 მილიარდი მარკის კონფისკაცია, რომელიც გაგზავნილი იყო რეიხსბანკის მიერ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ჯამაგირების მისაცემათ.

4) ქ. ბოხუმში ფრანგებმა დაარბიეს სავაჭრო პალატა, გახსნეს დაუწვავი შკაფები და გაიტაცეს ძვირფასი განძეულობა. დამატებით ამის შესახებ ბოხუმის სავაჭრო პალატამ აცნობა ყველა სავაჭრო პალატებს გერმანიაში შემდეგი: სავაჭრო პალატის ყველა ბინები გაძარცულია. მოსპობილია აქტები, მდიდარი ბიბლიოთეკა და სტატისტიკური მასალები. მთელი მორთულობა და ნოხები გატანილია.

5) ფრანგებმა 24 თებერვალს გაყიდეს გერმანიის ტყე რეინლანდისა 640,000 ფრანკათ.

6) პირველ მარტს ჩხრეკის დროს რკინისგზელთა სინდიკატში ესსენში ფრანგებმა დაატუსაღეს მოსამსახურეები და გაიტაცეს 140 მილიონი მარკა, რომელიც გადადებული იყო დასახმარებლათ რკინისგზელებისათვის. ასევე მოახდინეს ბონნშიაც.

7) პარიზიდან მოსული ცნობებით ფრანგებმა დააკავეს რეკლინგაუზენში 80 მილიონი მარკა, რომელიც დანიშნული იყო დასახმარებლათ გაფიცულ რკინისგზელებისათვის.

იბადება კითხვა: ნუ თუ ყველა ამის შემდეგ, რასაც სხვას ვერაფერს ვუწოდებთ თუ არა აშკარა ძარცვა-გლეჯას დიდ გზაზე, ვინმე, არა თუ სოციალისტი, არამედ უბრალო დემოკრატიც კი, უნდა გამოდიოდეს ამ ფრანგ იმპერიალისტების დასაცავათ და მათი მოქმედების გასამართლებლათ, რომელიც გამოიხატება, როგორც მკითხველი აშკარათ ხედავს, მხოლოთ ძარცვასა და მტაცებლობაში. დიახ, არიან ისეთები, რომლებიც ამას ამართლებენ; ესენია სოციალ-გამცემლები, რომლებმაც იმპერიალისტური ომის დაწყების დღიდანვე ბითუმათ აიღეს მუშათა კლასის ინტერესების გამცემლობა და ღალატი. მართალია ზოგიერთი მათგანი განზე დგება და ხელს იბანს, მაგრამ ისიც თავის „ნეიტრალობით“ მხოლოთ ხელს უწყობს საფრანგეთის იმპერიალისტებს განაგრძონ თავიანთი ძარცვა-გლეჯის პოლიტიკა. ისინი კომუნისტური ინტერნაციონალის მოწოდებაზე ერთიანი პროლეტარული ფრონტის შესაქმნელათ უარით უპასუხებენ.

მაგრამ საფრანგეთის მტაცებელი ბურჟუაზიის ეს უკანასკნელი საქმიანობა მისივე ხელებით მისი სამარის გამოთხრაა და ჩაცვივდებიან არა მარტო იმპერიალისტები, არამედ მათი მუხლების მლოკავი ლაქია—„სოციალისტებიც“. და რომ ეს ასე იქნება, ამას ამტკიცებს ის ფართო მოძრაობა, რომელიც დაიწყო მუშებს შორის იმპერიალისტების ამ ვერაგულ საქციელის გამო რურის ოლქში.

მსოფლიო რევოლიუცია, რომელიც ახლოვდება, მოუღებს ბოლოს მსოფლიო ბურჟუაზიის სიმხეცესა და აშკარა ძარცვა-გლეჯას დიდ გზაზე.

ქ. კომუნაძე.

გახრწნილი მენშევიკური პარტიის „საიდუმლოებანი“

ცნობილი მენშევიკი, ძველი წევრი პარტიის, აცხადებს, რომ მენშევიკები უმზადებენ საქართველოს მშრომელ მასებს „სისხლის მორევის“ დაყენებას და მის „სამუდამოთ მოსპობას“. ისევე ამოწმებს „ამ პარტიაში რღვევის პროცესის დაწყებას“. „უდავოა ჩემთვის—სწერს ის—რომ დაწყებული პროცესი თავის ლოღიკურ დასკვნამდე დავა და მათ ნაძირალების მეტი არავინ შერჩება“.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს გაზეთის უახლოეს ნომერში მოათავსოთ შემდეგი განცხადება.

1915 წლიდან—1923 წლის თებერვლამდე, როგორც ლეგალურად, ისე არალეგალურად მე ვმუშაობდი სოც. დ. (მენშევიკების) პარტიაში. ამ დროის განმავლობაში პირნათლად ვეწეოდი პოლიტიკურ მოღვაწეობას და ვასრულებდი პარტიის ყოველგვარ მოთხოვნილებას და დავალებას. მიუხედავათ ამისა ამა წლის 5 თებერვალს მე გავხდი მსხვერპლი კერძო ინტერესებზე დამყარებული მენშევიკების ჩვეულებრივი პროვოკაციისა.

ღამის 7 საათზე, პარტიის სახელით საკუთარ ბინაზე ჩემთან მოვიდნენ ოთხი კაცი. ვინაიდან მე დილას გაფრთხილებული ვიყავი ცეკას წარმომადგენლის მიერ, პარტიისაგან დირექტივების მისაღებად მეცადა საკუთარ ბინაზე საღამოს დანიშნულ დრომდე, მე მათ შინ დავხვდი და დირექტივების მაგიერ მათგან მოვისმინე ყოველმხრივ უსაბუთო ბრალდება, რომ ვითომც მე პარტიის მოღალატე ვიყო და ამას ხსენებულებში ასაბუთებდნენ ერთი იმ მოვლენით, რომ ამაში ისინი დაარწმუნა ვიღაც პასუხისმგებელმა კომუნისტმა, მეორეთ იმით, **რომ საგანგებო კომისიამ იცის შინაარსი ცენტრალური კომიტეტის ერთი წევრის ზოგიერთი ისეთი მიწერ-მოწერისა**, რომელიც ჩემს ხელში გადიოდა.

როდესაც მე მათ დაუმტკიცე, რომ კორრესპონდენციას მე 3—4 ხელიდან ვღებულობდი და უშუალოთაც არ ვაგზავნიდი დანიშნულებისამებრ, პასუხად მათგან მოვისმინე მენშევიკების ცენტრ-კომიტეტის მიერ გამოტანილი განაჩენი ჩემი სიკვდილით დასჯის შესახებ, შენიშვნით, რომ თუ კი გამოუტყდებოდი მათ წარმომადგენლებს, გამგზავნიდენ საზღვარ-გარედ. ვინაიდან დამაკმაყოფილებელი პასუხი ჩემგან ვერ მიიღეს, რადგანაც ვერ მოვიტყუე, რომ მოღალატე ვარ მეთქი, ბანდიტები შეუდგნენ განაჩენის სისრულეში მოყვანას.

მიუხედავად იმისა, რომ სამი მათთაგანი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ჩემს მოკვლაში (ერთი კი კარებთან იდგა), მე მოულოდნელად, ფიზიკური სიკვდილისაგან გადავრჩი და შევეცადე მომხდარი ინციდენტის ვითარების გამორკვევამდე ეს არ გამემჟღავნებინა, მაგრამ ყაჩაღებმა მეორე დილას მთელ ქალაქს აცნობეს მათ მიერ ლაჩრულად ჩადენილი სისაძაგლე.

საგანგებო კომისიამ გაიგო თუ არა მომხდარი ინციდენტის შესახებ, ჩემ შესაპყრობათ მიიღო ზომები. ამიტომაც დღემდე იძულებული გავხდი გადავსულიყავი არალეგალურ ცხოვრებაზე.

ინციდენტის მეორე დღესვე მე დავიწყე მოლაპარაკება მენშევიკების ცენტრალურ კომიტეტთან. ჩემს პირველ შეკითხვაზე, თუ რაში იყო საქმე, პასუხად მივიღე, რომ მან ამ საქმის არაფერი იცის და არავითარი განაჩენის გამოტანას ჩემზედ ადგილი არ ჰქონია. ჩემი გასამართლების კატეგორიული მოთხოვნ ზედ, მივიღე პასუხი, რომელიც გამოხატავდა ხსენებულ კომიტეტის ორჭოფობას. ამ პასუხში მწერდნენ:

„თუმცა კვლევა-ძიებამ ნათელჰყო თქვენი დანაშაულობა, მაგრამ უკანასკნელმა ცნობებმა და ამბებმა ერთგვარი გაუგებრობა დაბადა და წინანდელი დასკვნები ეჭვის ქვეშ დააყენა, ამიტომ ცეკას შესაძლებლად მიაჩნია მოხდეს გასამართლება. თქვენ გეძლევათ საშვალება გაეცნოთ ბრალდებებს. და თქვენი ახსნა-განმარტება წარმოადგინოთ, რის შემდეგ ცეკა დაკითხავს მოწმეებს და შეკითხვებზე პასუხს მოეითხოვთ. თქვენ ბრალათ გედებათ:

1) ცეკას ერთი წევრის მიწერ-მოწერის გადაცემა ჩეკისათვის,
2) ელიზბარის წერილის და გაზეთების გადაცემა ჩეკისათვის და
3) ცეკას მუშაობის შესახებ, საერთო ინფორმაციის მიწოდება.

თქვენი ახსნა განმარტება წარმოადგინეთ მოკლე ხანში. თუ თქვენ ამ ბრალდებებს უარყოფთ, საჭიროა გვ-ცნობოთ თქვენი აზრი, რა გზით შეიძლებოდა მოწინააღმდეგეებს მიეღოთ ხსენებული ცნობები. ჩეკასთან ახლოს მდგომი პირები თქვენ გთვლიან დამნაშავეთ; ვიმეორებთ, ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ სიმართლის გამორკვევა და საქმის ლიკვიდაცია და არა რომელიმე პირის დასჯა. „იმ საღამოს“ ჩვენი წარმომადგენლის დაპირება ამ მხრივ ძალაში რჩება. ველით თქვენს გულწრფელ განმარტებას.

საქ. ს. დ. მ. პ. ც. კომიტეტი.“

ასეთი იყო მათი პასუხი ჩემს მეორე მიმართვაზე.

ბრალდებებზე ვუპასუხე, როგორც „ინციდენტის საღამოს“, რომ მიწერ-მოწერა და გაზეთები რამოდენიმეს ხელში გადადიოდა და ყოველივე ამას ინფორმაციასთან ერთად თუ ვინ მიაწვდიდა ჩეკას—არ ვიცი.

ცეკამ ჩემს განმარტებაზე 20 დღის განმავლობაში პასუხი არ მომცა. ამ დროის განმავლობაში, როგორც შემდეგშიაც, არც მოწმებისთვის დაუკითხავთ და არც სხვაფრივ ჰქონია ადგილი კვლევა-ძიებას. მხოლოდ, წინანდებურად მითვლიან ზეპირად და ქალაქშიდაც ავრცელებენ ხმას, რომ მათთვის აშკარაა ჩემი დანაშაულობა და ამის ირგვლივ ავრცელებენ სხვა და სხვა ჭორებს, ვითომც საგანგებო კომისიის მიერ ჩემი დევნა —ფიქცია იყოს, თითქმის ვითომცდა ვცხოვრობდე კომუნისტებთან, ჩეკის პასუხისმგებელი თანამშრომლებთან ერთათ და სხვა.

საზოგადოების საყურადღებოდ ვაცხადებ, რომ ყოველივე ეს არის პროვოკაცია. როგორც ზევით ითქვა, ის დამყარებულია კერძო ინტერესებზე და აგებული ყალბ ცნობებზე. თუ მენშევიკებს აინტერესებს არა ლეგალურ მდგომარეობის დროს თუ სად და სად ვცხოვრობდი, მომთხოვონ და თითეულ ბინაზე იქნება ჩემ მიერ მითითებული. მაგრამ უპასუხისმგებლო ხალხი რათ შეიწუხებს თავს—დეე წამოროშოს რამე, გამოლანძღოს ადამიანი და მით ისიამოვნოს.

მე მოვითხოვ მათგან აცნობონ საზოგადოებას, თავიანთი არალეგალური ორგანოს საშვალებით, თუ რაში გამოიხატება ჩემი ღალატი იმ დროის განმავლობაში, როდესაც მე მათთან მქონდა მჭიდრო კავშირი და რა ზიანი მიმიყენებია მათთვის.

ცნობისათვის ერთი თვეა, რაც მე მათთან კავშირი შეწყვეტილი მაქვს, წინეთ კი ცეკასთან ვიყავი დაახლოვებული და საგრძნობი ზიანის მიყენებაც შემეძლო, რომ მეღალატნა და ბრალსა მდებენ კი უბრალო მიწერ-მოწერის შინაარსის ჩეკასადმი გადაცემაში. მაგრამ რა არის გასაკვირალი იმ ხალხისაგან, რომელიც ადამიანს ასამართლებს მასზე სიკვდილის განაჩენის გამოტანის შემდეგ? განა სიყალბე არ არის, რომ მათ აინტერესებს „მხოლოდ სიმართლის გამორკვევა და საქმის ლიკვიდაცია და არა რომელიმე პირის დასჯა“? განა ისინი პიროვნებას ანგარიშს უწევენ? ჩადენილი სისულელის შემდეგ განა მათთან შეიძლება საერთო ენის გამონახვა? განა ის ხალხი, რომელიც ჯერ ირწმუნება, რომ ინციდენტის შესახებ არაფერი იცის, მერმე კი წერილში წერს: „ჩვენი წარმომადგენლის იმ საღამოს. დაპირება ძალაში რჩება“—რამე სიმართლის გზას დაადგება, ან სიმართლეს გამოამჟღავნებს?

არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ მენშევიკები არ თაკილობენ არავითარ საშუალებას (სიტყვით თუ საქმით) მხოლოდ თავიანთ მიერ გადადგმული, თუმც რომ სულელური ნაბიჯები, ხალხს სწორათ დაანახონ. რათ გამიკვირდება, რომ მე მიმსხვერპლონ, როდესაც **მთელი მათი პოლიტიკა მიმართულია საქართველოს მშრომელთა მასის დაღუპვისაკენ.**

ვინ არ იცის, რომ აჯანყება, ტერორები და იმპერიალისტური ინტერვენცია ძირიან-ფესვიანად დამღუპველი საქართველოს მშრომელი ხალხისათვის. **საიდუმლოებას არ წარმოადგენს, ვინაიდან სუყველამ იცის, რომ მენშევიკებს განზრახული ჰქონდათ შეიარაღებული აჯანყების მოხდენა,** მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი საგარეო პოლიტიკის საქმე გართულდებოდა. მაგრამ დღეს რა მესმის? **ცნობილი მენშევიკი თევზაია პარტიას თავს ანებებს და ამ მოვლენას ახაბუთებს მით, რომ ის წინააღმდეგია „შეიარაღებული ბრძოლის არსებულ ძალა-უფლების წინააღმდეგ და იმპერიალისტურ ინტერვენციის საქართველოს საქმეებში“. ეს განცხადება აშკარად ამტკიცებს მენშევიკების მომავალ პერსპექტივებს და მათი დღევანდელი მოქმედების გეზს.**

პარტიაში თევზაია ის წევრი გახლდათ, რომელმაც არა ერთხელ იხსნა საქართველო მენშევიკების მიერ განზრახული შეიარაღებული აჯანყებისაგან. **დღეს ჩემთვის და ბევრი მენშევიკებისათვისაც აშკარაა, რომ მან, ჩვეულებისამებრ, პარტიაზე, ამ მხრივ გავლენა ვერ მოახდინა, ამიტომაც იძულებული ხდება დახელოვნებულმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ყოველგვარ პოლიტიკურ მოღვაწეობაზე ხელი აიღოს;** და ასეთ წინდახედულ ადამიანს დღეს უპასუხისმგებლო ჯგუფი მენშევიკებისა შერყეულ ჭკუის პატრონათ ნათლავს. დეე, საქართველოს მშრომელმა მასსამ განსაჯოს, თუ ვინ არის მისი მოღალატე, ვინც მოუწოდებს მას მშვიდობიანობისაკენ და კულტურულ აღორძინებისაკენ, თუ ის ჯგუფი, **რომელიც მას უმზადებს სისხლის მორევში ცურვას და ქართველი მშრომელი ხალხის სამუდამოთ მოსპობას.**

მენშევიკების უტაქტიკო და ამ მოღალატური ყოველგვარ მოქმედებას უკვე გრძნობს ხალხი და ეს არის უმთავრესი მიზეზი **ამ პარტიაში რღვევის პროცესის დაწყებისა.**

უდავოა ჩემთვის, რომ დაწყებული პროცესი თავის ლოღიკურ დასკვნამდე და დავა **მათ** ნაძირალების მეტი არავინ შერჩება.

მე კი პირადათ, დღეიდან, ოფიციალურად ვაცხადებ, რომ გამოვდივარ მენშევიკების პარტიიდან და, ვრჩები რა ყოველგვარ პარტიის გარეშე, ხელს ვიღებ პოლიტიკურ მუშაობაზე.

ტფილისის მე-12 ტეხნიკუმის ყოფილი
მასწავლებელი ა. ე. ბენდელიანი.
ქ. ტფილისი.
1923 წ.
3 მარტი.

რა ხდება მენშევიკურ პარტიაში

დამარცხებული ფიზიკურათ და პოლიტიკურათ, მოკლებული ყოველგვარ გავლენას მუშათა შორის, საქართველოს მშრომელებზე ოდესღაც ძალადობით გაბატონებული მენშევიკური პარტია წარმოადგენს დღეს ყაჩაღთა ბრბოების ხელმძღვანელ, ურთიერთშორის გადაკიდებულ ერთეულების ხროვას, დამდგარს ტერორისა და აჯანყების გზაზე არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ.

ავანტიურა შიგნით, ავანტიურა გარეთ—ასეთია მთელი მათი მუშაობის შინაარსი.

და სრულიად ბუნებრივია ასეთი ავანტიურის ტაქტიკა „პარტისათვის“, რომელსაც გამოეცალა მასიური დასაყრდნობი ძალა და მთელ თავის „შემოქმედებას“ აშენებს წონასწორობა დაკარგულ ელემენტებზე და რომლის ერთად ერთ ამალას შეადგენს სისხლის სამართლის დამნაშავენი, გავარდნილი ტყე-ველათ და დამრბევი მშვიდობიანი მოსახლეობის.

ამას კარგად ხედავენ ის ჯგუფები მენშევიკებიდან, რომლებიც დღემდე ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობდენ მათთან. და ბუნებრივია, რომ მათ შორის ასტყდა ერთი ვაი-უშველებელი. მენშევიკების აქ შემორჩენილი ცენტრალური ჯგუფი, ხედავს რა, რომ ბატონობისა და უპასუხისმგებლო პარპაშის ნიადაგი ეცლება ფეხქვეშ ამ ვიწრო წრესაც, ამჩნევს რა სულ ახლო წარსულში მისი მბრძანებლობის ქვეშ მომუშავე მენშევიკების გარშემოცლას, რომლებიც უსხლტებიან მის გავლენას და გარბიან პარტიიდან, გადადის მათი დაშინების, სიკვდილით დასჯისა და საზოგადოთ ტერორის ტაქტიკაზე. მენშევიკ ბენდელიანის ზემოთ მოთავსებული წერილი ერთხელ კიდევ ზედმეტათ მოწმობს ამის შესახებ.

აშკარა დასანახი ხდება მათთვისაც, ვინც ამას ვერ **ამჩნევდა დღემდე, რომ მენშევიკურ ჯგუფებში ხდება ღრმათ მიმავალი გათიშვა და ურთიერთშორის დაუზოგავი ბრძოლა.** ისინი, რომელთაც შერჩენიათ კიდევ უნარი სინამდვილის შეფასების, აშკარათ ხედავენ დღეს თუ რა ამღორძინებელ ძალას წარმოადგენს თვითმოქმედებაზე გადასული მშრომელი მასები საქართველოსი საბჭოთა ხელისუფლებისა და კომპარტიის მეთაურობით—ერთი მხრით, და როგორი მომავალს—სისხლის მორევს, დაღუპვასა და გადაშენებას, თვით მენშევიკ ბენდელიანის სიტყვით—უმზადებენ მენშევიკები საქართველოს მუშებს და გლეხებს—მეორე მხრით.

შეგნება ამ ჭეშმარიტების, კრიტიკული გადაფასება წარსულის, ერეკება მენშევიკების წრეებიდან როგორც უბრალო წევრებს, ისე მათ ცნობილ მოღვაწეებს. ზოგი მათგანი აშკარად აღიარებს მენშევიკების დამღუპველ „მოღვაწეობას“, გამოდიან მენშევიკური ორგანიზაციებიდან და აცხადებენ სურვილს არსებულ ხელისუფლებასთან თანამშრომლობისას, თვით კომპარტიაში შესვლისას. ზოგი კი ჯერ უარს ამბობენ მხოლოთ პოლიტიკურ მოღვაწეობაზე, რასაც უნდა მოჰყვეს მათი შემდეგი ნაბიჯი დადებითი მუშაობისაკენ არსებული რეჟიმის ნიადაგზე და მის გასამტკიცებლათ.

რას მოწმობს ის ფაქტები, რომლებიც ჩვენ გამოვაქვეყნეთ ჯერ-ჯერობით და ის მასალები, რომლებიც ჩვენ განკარგულებაშია დღეს? მხოლოდ იმას, რომ მენშევიკური „პარტიის“ იდეიურმა დაშლამ და მორალურ-პოლიტიკურმა გახრწნამ მიაღწია უმაღლეს წერტილს.

ჩვენი მოვალეობაა, მოვალეობაა ადგილობრივი ორგანიზაციებისა და რევოლიუციონური წესრიგის დამცველ ორგანოების კიდევ უფრო მეტი ენერგიით აწარმოონ მუშაობა ამ პარტიის სრულ გასანადგურებლათ.

საბჭოთა ხელისუფლება სრულ საშუალებას მისცემს მშრომელი მასების და ქვეყნის საკეთილდღეოთ მშვიდობიან შრომისათვის დაბრუნებულ ელემენტებს, რომლებიც ყოველგვარ კავშირს სწყვეტენ ავანტიურისტებთან და ჩვეულებრივი რკინის ხელით ალაგმავს მათ, რომელთა გასწორება მხოლოთ სამარეს შეუძლია.

რადიო-დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

გადასახადი ნახშირზე.

მოსკოვი. 6 მარტი. გენერალ დეგუტმა გამოაქვეყნა დეკრეტი რურის მაღაროთა მეპატრონეების მიერ დამზადებულ ნახშირის გადასახადით დაბეგვრის შესახებ.

სიკვდილით დასჯა.

მოსკოვი. 6 მარტი. ფრანგების მუქარამ, რომ დაკავებულ რაიონებში შემოიღებენ საბოტაჟისათვის სიკვდილით დასჯას, გამოიწვია რურში და დანარჩენ გერმანიაში საერთო მღელვარება. მონარქისტები ჰინდენბურგის მეთაურობით მოუწოდებენ იბრძოლონ ბოლომდე და არ შეჩერდენ არც ომის წინაშე. მთავრობა და პოლიცია ცდილობენ ვითომ მოსპონ მონარქისტების გამოსვლები. ბერლინის პოლიციამ აკრძალა კვირისთვის დანიშნული პაციფისტების დემონსტრაცია, რომელიც მიმართული იყო რეაქციონურ პარტიათა მიერ ომის სასარგებლოთ წარმოებულ კამპანიის წინააღმდეგ.

ფრანგების რეპრესიები.

მოსკოვი. 6 მარტი. რურში ფრანგების ახალ ძალადობების გამო მთელი გერმანიის პრესა გამსჭვალულია ჯერ არ ნახული აღშფოთების გრძნობით. ისე როგორც ესენში ფრანგებმა გაანადგურეს პოლიციის საოლქო დაწესებულებანი და დახურეს პოლიციის ყაზარმები ბოხუმში და რეკლინგჰაუზენში. ბოხუმში ამას გარდა ფრანგებმა კონფისკაცია უყვეს ყველა საზოგადო თანხებს ფოსტაში, ხაზინაში, საბაჟოში და სხვა დაწესებულებებში, საერთოდ რამოდენიმე ათეულ მილიონ მარკას და გადასცეს ეს ფული საოკუპაციო ჯარების ჯამაგირით დაკმაყოფილებისათვის.

გელზენკირხენში.

მოსკოვი. 6 მარტი. გელზენკირხენში ხელახლად შევიდა ფრანგების ცხენოსანი ჯარი, ტყვიის მფრქვეველთა და ტანკების რაზმი გერმანიის პოლიციის გაუქმების მიზნით, თუმცა ეს უკანასკნელი ადრევე გავიდა ქალაქის განაპირას. ფრანგები გარს შემოერტყენ პოლიციას, ტყვეთ ჩაიგდეს 250 კაცი და ამის შემდეგ გავიდენ ქალაქიდან.

გერმანიის მრეწველთა ტაქტიკა.

მოსკოვი. 6 მარტი. დორტმუნდის მსხვილ მრეწველმა განაცხადა, რომ გერმანიის მრეწველებმა კატეგორიულათ გადასწყვიტეს განაგრძონ წინააღმდეგობის ძველი ტაქტიკა.

რკინის გზებით მიმოსვლა.

მოსკოვი. 6 მარტი. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ოფიციალურ ცნობის თანახმად, საფრანგეთი ალბათ მიიღებს ბრიტანეთის წინადადებას ბრიტანეთის ოკუპაციის რაიონში რკინის გზის ხაზით სარგებლობის შესახებ. ყოველდღიურათ საფრანგეთიდან რურში გაემგზავრება 10 მატარებელი ჯარით და დაბრუნდება უკან ცარიელი. არავითარი მატარებელი ნახშირით კელნში არ იქნება გაშვებული.

ოთხშაბათს 7 მარტს საღამოს 4 საათზე პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნება

მე-2 სამაზრო უპარტიო ქალთა კონფერენცია

ქალაქ ტფილისის მუშა ქალთა, დელეგატ ქალების, დიასახლისების და სხვების თანდასწრებით.

კონფერენციის გახსნაზე მოწვეულნი არიან, ყველა ამხანაგები, რომელთაც სურთ დასწრება.

საქ. კომ. პარტიის ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილება 8 მარტს, დილის 10 საათზე მაიდანზე მუსულმანთა კლუბის შენობაში იწვევს

ქალთა 1-ლ საერთო საქალაქო უპარტიო კონფერენციას

დღის წესრიგში არის შემდეგი საკითხები:

1. 8 მარტი და მუშა-ქალთა საერთაშორისო დღე.
2. საბჭოთა ხელისუფლება და აღმოსავლეთის ქალთა განთავისუფლება.
3. ახალი დედა და მომავალი თაობა.
4. ოსმალო ქალის განთავისუფლება.
5. მიმდინარე საქმეები: ანგარიში კლუბის მუშაობის შესახებ.

ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილება.

მუშა-ქალთა საერთაშორისო დღის დღესასწაულის წეს-რიგი.

7 მარტს—უპარტიო ქალთა სამაზრო კონფერენციის საზეიმო სხდომა, ქალ. თბილისის მუშა-ქალებთან ერთად, პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში დღის 4 საათზე.

8 მარტს—საღამოს: რევოლიუციონური საღამოები და ორატორების გამოსვლა: 1 რაიონი—ნაძალადევის თეატრში, საღამოს 7 საათზე;

მე-2-ე რაიონი—მუშათა ცენტრალურ კლუბში—საღ. 7 საათზე;

მე-3-ე რაიონი—ავლაბარში წითელი არმიის სახელობის კლუბში სომხურ, ქართულ და რუსულ ენებზე. დასაწყისი საღ. 7 საათზე.

ქალაქის საბჭოთა საავადმყოფოს კლუბში;

მე-9-ე პოლკში;

ვოლგის მხარის ბავშთა სახლში.

ნარიმანოვის სახელობის კლუბში—დიდი საღამო მუსულმანურ ენაზე.

მე-4-ე რაიონი—ლენინის სახელობის ფაბრიკაში—რევოლიუციონური საღამო, დასაწყისი საღ. 7 საათზე.

სამაზრო კონფერენციის და ქალ. თბილისის მუშა-ქალთა დელეგატებისათვის: დიდი საღამო—ზუბალოვის სახელობის სახლში:

1) „მორე ზლოსჩასტია“—სპარტაკის ძალებით.
2) დიდი კონცერტი.

ს. ქ. პ. თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილება.

გავასის სააგენტოს ცნობით მოკავშირეთა რეინის კომისიამ გადასწყვიტა ახლად დაკავებულ ოლქების რკინის გზების სამმართველო შეუერთოს რეინის ოლქის რკინის გზების სამმართველოს. ამდაგვარათ ყველა რკინის გზები გადადის მოკავშირეთა კომისიის სამმართველოს ხელში.

ბელგიის სოციალისტები.

მოსკოვი. 6 მარტი. ბელგიის სენატის სოციალისტურ ჯგუფმა, ინგლისის მუშათა პარტიის მაგალითის მსგავსათ, დაადგინა შეიტანოს სენატში წინადადება რურის საკითხის გადასაწყვეტად პარლამენტების წარმომადგენელთა კომისიის დაარსების შესახებ.

კონტროლი საქონლის ტრანსპორტზე.

მოსკოვი. 6 მარტი. ფრანგებმა და ბელგიელებმა დაიკავეს დარმშტადში საორთქლმავლო დეპო და საქონლის სადგური, რათა გაუწიონ კონტროლი საქონლის ტრანსპორტს ბავარიაში და სამხრეთ გერმანიაში. დარმშტადში ფრანგების ჯარების შესვლამ გამოიწვია პანიკა მცხოვრებლებს შორის.

ესსენში.

მოსკოვი. 6 მარტი. ფრანგებმა კვლავ დაიკავეს ესსენის რკინის გზის სადგური. ესსენის კომუნისტები მოუწოდებენ მასიურ დემონსტრაციებისაკენ იმის წინააღმდეგ, რომ საოკუპაციო ხელისუფლებამ წაართვა მუშურ პრესას თავისი აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება.

დარბევა ფრანგების მიერ.

ბერლინი. 6 მარტი. კრეფელდში საფრანგეთის სამხედრო ნაწილები შეიჭრა შეკერ და კურც“-ის ფირმის განყოფილებაში და მოახდინა დაპატიმრებანი მოსამსახურეთა შორის. კანტორაში დამტვრეულია ყველა მაგიდები, შკაფები და გატანილია მთელი საქონელი. მუშათა ფირმებმა დაუყონებლივ შესწყვიტეს მუშაობა.

სჯიან დახახმარებლად მოწოდებისათვის.

ბერლინი. 6 მარტი. ბონის ფოსტის დირექტორს, გერმანიისადმი დახმარების აღმოჩენის შესახებ პლაკატების გავრცელებისათვის მაინცის სასამართლომ მიუსაჯა 1 წლის დაპატიმრება და 100.000 მარკა ჯარიმა. სამხედრო სასამართლომ განაცხადა, რომ პლაკატების გამოფენა მოწოდებით რურის ოლქში მცხოვრებ გერმანელებისადმი დახმარების აღმოჩენის შესახებ, საფრთხეს უმზადებს საოკუპაციო ჯარს.

ახალი ძარცვა.

ბერლინი. 6 მარტი. პარიზიდან მიღებულ ცნობების თანახმად დუისბურგში ფრანგებმა მიითვისეს 1 მილიარდი მარკა, რომელიც დანიშნული იყო სახელმწიფო ბანკის დუისბურგის განყოფილებისათვის.

სისხლის სამართლის დანაშაულებათა ზრდა.

ბერლინი. 6 მარტი. ესენში, პოლიციის სრული უმოქმედობის გამო, უფრო და უფრო მრავლდება სისხლის სამართლის დანაშაულებათა რიცხვი. ბოხუმიდან იტყობინებიან აგრეთვე თავდასხმისა და ცარცვის შემთხვევების გახშირების შესახებ. გელზენკირხენში ერთ ღამის განმავლობაში აღრიცხულია ქურდობის 20 შემთხვევა.

მუშები საბოტაჟს ეწევიან.

პარიზი. 6 მარტი. მიუხედავათ საფრანგეთის ხელისუფლების გაფრთხილებისა, ვესტერგორნში შემჩნეულ იქნა საბოტაჟის ახალი ცდანი გერმანელ მუშა-მოსამსახურეების მხრით. ფრანგებსა და იმ პირთა შორის, რომელნიც შემჩნეულ იყვნენ საბოტაჟში, მოხდა შეტაკება, რასაც შედეგათ მოყვა ერთი მოსამსახურის მოკვლა.

გერმანიის მთავრობის დეკლარაცია.

ბერლინი. 6 მარტი. გერმანიის რეიხსტაგის სხდომების გახსნაზე წაკითხულ იქნა მთავრობის დეკლარაცია რურის ოლქში ფრანგების ახალ შეჭრის შესახებ. სამხრეთ გერმანიაში კუნოს გამგზავრება ფრანგების ახალ ოპერაციების გამო გადადებულია. კუნომ განაცხადა, რომ პუანკარეს მთელი პოლიტიკა მიმართულია მხოლოდ იმისაკენ, რომ განამტკიცოს ევროპაში საფრანგეთის ჰეგემონია. გერმანიის წინააღმდეგობამ მოულოდნელად ჩაშალა საფრანგეთის იმედები, რადგან ეს წინააღმდეგობა გამოდიოდა თვით ხალხის სიღრმიდან და ამან მისცა გერმანიის მთავრობას ახალი ძალა ოკუპანტების შეტევისათვის წინააღმდეგობის გასაწევათ. გერმანია ვერ მოისვენებს იმ დრომდე, სანამ აღდგენილ არ იქნება მისი უფლებები მთელ რეინლანდში.

ეშინიათ გაკოტრების.

პარიზი. 6 მარტი. „დეილი მეილის“ დიუსელდორფელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ რურის მრეწველები გამოსთქვამენ გერმანიასა და საფრანგეთს შორის მოლაპარაკების დაწყების სურვილს, რათა თავიდან აიცილონ სრული გაკოტრება. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ტისენის და სტინესის ქარხნებსაც კი ადრე დაელევათ ნედლი მასალის მარაგი.

რურის გარშემო

რურის ავანტიურის ლიკვიდაციის კამპანია.

მოსკოვი. 6 მარტი. საფრანგეთის მსხვილი მრეწველების ორგანო „ჟურნალ ინდუსტრიელ“-ი განაგრძობს რურის ავანტიურის ლიკვიდაციის კამპანიას. გაზეთი ურჩევს პუანკარეს შეიმუშაოს სათანადო წინადადება გერმანიის მთავრობისადმი და ხაზს უსვამს კონფლიქტის დაუყონებლივი ლიკვიდაციის ეკონომიურ მნიშვნელობას.

თათბირობენ.

პარიზი. 6 მარტი. გენ. დეგუტი ეთათბირა ბელგიის უმაღლეს კომისარს რეინის მარჯვენა ნაპირზე ფრანგების ახალ ოპერაციების შესახებ. თათბირმა შეიმუშავა აგრეთვე რკინისგზების ექსპლოატაციის წესები.

გერმანიის ამბები

გერმანიის პროტესტი ახალი ოკუპაციის წინააღმდეგ.

პარიზი. 6 მარტი. გერმანიის მთავრობამ კანცლერ კუნოს საშუალებით გამოაცხადა პროტესტი მანჰეიმის, კარლსრუეს და დარმშტადტის რკინის გზის სახელოსნოების ოკუპაციის წინააღმდეგ.

დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა.

ლონდონი. 6 მარტი. გაზ. „მატენის“ ცნობით გერმანიის კანცლერი კუნო ფიქრობს განუცხადოს რეიხსტაგს, რომ გერმანიის მთავრობას განზრახული აქვს შესწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა საფრანგეთთან.

გერმანიას განზრახული აქვს გააძლიეროს წინააღმდეგობა.

პარიზი. 6 მარტი. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ კანცლერმა კუნომ იქონია თათბირი რეიხსტაგის თავმჯდომარესთან. კუნომ განაცხადა, რომ ის შეიტანს რეიხსტაგში გერმანიის ვალდებულებათა გეგმას, რომელიც უნდა წარედგინოს პარიზის კონფერენციას და აცნობოს ის ღონისძიებები, რომელიც მთავრობას განზრახული აქვს გაატაროს რურში წინააღმდეგობის გასაძლიერებლად.

ახლო აღმოსავლეთში

„რევოლიუციონური“ მთავრობა საბერძნეთში

ლონდონი. 6 მარტი. „დეილი მეილი“ კორესპონდენტი ამბობს, რომ ათინიდან ჩამოსულთა სიტყვების თანახმად საბერძნეთის მდგომარეობა ფრიად სერიოზულია იმის გამო, რომ მთავრობამ დააწესა მეტად მკაცრი ცენზურა ყველაფერზე, რაც კი მოდის საზღვარ-გარეთიდან. მუშათა კლასი ძლიერ უკმაყოფილოა რევოლიუციონურ მთავრობით, რომელიც ხელს უშლის ახალ მდგომარეობის განმტკიცებას.

მღელვარება სირიაში.

ბერლინი. 6 მარტი. ალეპოში მომხდარ უწესოების გამო მიმოსვლა ალექსანდრეტთან შეწყვეტილია.

მდგომარეობა რთულდება.

ბერლინი. 6 მარტი. ლონდონის წრეებში ფიქრობენ, რომ მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში სულ მოკლე ხანში საგრძნობლად გართულდება, რადგან მუდანიის მოლაპარაკება უახლოვდება დასასრულს.

საფრანგეთის პოლიტიკა სირიაში

ანგორა. 4 მარტი. ლოზანაში მოლაპარაკების შეწყვეტის შემდეგ ფრანგებმა სირიაში მიმართეს შევიწროებისა და რეპრესიების პოლიტიკას, რომელმაც გამოიწვია შეიარაღებული შეტაკებანი ადგილობრივ მცხოვრებლებთან. მღელვარების დასამშვიდებლათ ფრანგები გზავნიან სამხედრო ძალებს. ბევრი სირიული გაზეთები დახურულია.

დემონსტრაცია ფრანგების წინააღმდეგ

ანგორა. 4 მარტი. ტრიპოლში, დამასკში და ბეირუთში შედგა საპროტესტო დემონსტრაციები საფრანგეთის მიერ შექმნილ რეჟიმის წინააღმდეგ სირიაში.

სირიული გაზეთი „ელი კხავადხსე“ მოითხოვს სირიის კაპიტულიაციის მოხსნას, სთვლის რა სირიას საკმაოდ ცივილიზაციურ ქვეყნად, რომ მას სრული უფლება უნდა ჰქონდეს თავისუფალ დამოუკიდებელ არსებობისა.

ემუქრებიან სამხედრო-საველე სასამართლოთი.

ანგორა. 4 მარტი. ეგვიპტეში თანახმად ინგლისის სამხედრო მმართველ წრეების ბრძანებისა, აკრძალულია ყოველგვარი კრებები, რომელიც ნებადაურთველია პოლიციის მიერ. მოწვეული „არალეგალური“ კრებები სამხედრო ხელისუფლებათა ბრძანებით იქნებიან გადაცემული სამხედრო საველე სასამართლოზე.

ემზადეთ უარესისათვის.

ანგორა. 4 მარტი. ოსმალეთის დიდ ეროვნულ ყრილობის სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში მუსტაფა-ქემალმა სთქვა: „ახალი წელი იქნება ან მშვიდობიანობის ან ომიანობის წელიწადი. უკანასკნელ შესაძლებლობის მოლოდინში ემზადეთ უარესისათვის თუ შეიქმნა აუცილებლობა, ჩვენ ვაწარმოებთ ომს იმავე საფუძვლებით, რომელმაც მიგვიყვანა ჩვენ დიდ გამარჯვებებამდე“ სიტყვის ბოლოში ქემალმა სთქვა: „ოსმალეთის დიდ ეროვნულ ყრილობის მმართველობის სახეს ვერ შესცვლის ცალკე პიროვნებანი“ ვინც მოისურვებს ერის ინტერესების წინააღმდეგ წასვლას, ის განწირულია დასაღუპავათ“.

მოფრანკოფილო გაზეთი.

ანგორა. 4 მარტი. სტამბულის გაზეთი „ტანინი“ უსირცხვილოდ იზიარებს საფრანგეთის შეხედულობას და ცდილობს მთელი დანაშაულობა ლოზანის კონფერენციის დაშლისა მოახვიოს კისერზე ინგლისელებს და ამტკიცებს საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკის უსწორობას.

საზღვაო სამინისტროს დაარსება.

ტრაპეზუნდი. 28 თებ. ეკონომიურ კონგრესმა სმირნაში დაადგინა საზღვაო სამინისტროს დაარსების აუცილებლობა და გახსნა საზღვაო სკოლებისა.

კუდამოძუებულნი წავიდნენ.

ტრაპიზუნდი. 28 თებ. ანგორიდან იტყობინებიან, რომ მოკავშირეთა სამხედრო გემებმა დასტოვეს სმირნის პორტი.

უკმაყოფილონი არიან ოსმალეთის პრესით.

ტრაპიზუნდი. 28 თებ. ანგორიდან იტყობინებიან, რომ გენერალ პელემ მიმართა ოსმალეთის დიდ ეროვნულ ყრილობის თავმჯდომარეს საყვედურით ოსმალეთის სატელეგრაფო სააგენტოსა და პრესაზე.

საფრანგეთის ამბები

საფრანგეთის მდგომარეობა.

მოსკოვი. 6 მარტი, „ნეისტე ციურიხე ცეიტუნგი“-ს პარიზელი კორესპოდენტი აფრთხილებს გერმანიის პრესის რურის ოლქის ოკუპაციის გამო საფრანგეთის მდგომარეობის გართულების შესახებ გადაჭარბებული ცნობების გავრცელებაში. კორესპოდენტის აზრით, ცხოვრების გაძვირების და ფრანკის დაცემის გადალახვას საფრანგეთის ბურჟუაზია შესძლებს უფრო ადვილად, ვინემ გერმანიის ბურჟუაზია—გერმანიის აუტანელი მდგომარეობისათვის გამკლავებას. მეტალურგიულ წარმოებებში მუშაობის შეწყვეტა არ გამოიწვევს მნიშვნელოვან შედეგებს, რადგან საფრანგეთის მსხვილი მრეწველები დაინტერესებული არიან რურის ოკუპაციით. ახლო მომავალში ლოტარინგიის მეტალურგიული მრეწველობა საოკუპაციო ხელისუფლების დახმარებით შეძლებს რეკლინგაუზენის ნახშირის და კოქსის მარაგების გამოყენებას.

საფრანგეთის სამხედრო მზადება.

მოსკოვი. 6 მარტი, საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა განაცხადა სენატში, რომ გერმანიის მხრივ საფრთხის მოლოდინის გამო, საფრანგეთს უნდა ჰყავდეს არმია, 660,000 კაცის შემადგენლობით, რაც შესაძლებელია მხოლოდ 18 თვიანი სამხედრო სამსახურის დროს.

პოლონეთის ამბები

უმუშევართა მღელვარება.

მოსკოვი. 6 მარტი. პოლონეთში ყოველ დღე იმართება მუშათა დემონსტრაციები, რომლებიც სამუშევრით უზრუნველყოფას მოითხოვენ. უმუშევრებმა უარჰყვეს შრომის სამინისტროს წინადადება მიეცეს სამუშაო უმუშევართა ერთ ნაწილს და დანარჩენთ—უფასო სადილები. პოლიციამ ორი უმუშევარი—დემონსტრანტი დაატუსაღა, რამაც ახალი დემონსტრაციები გამოიწვია.

სეიმში მემარცხენე დეპუტატები მთავრობას შეეკითხნენ, რით არჩენს ის თავის ხარჯზე 20 ათას პეტლიურელს, როდესაც უმუშევართა რიცხვი და მარკის კატასტროფიული დაცემა ესოდენ დიდია.

— ვარშავაში მოწყობილმა მრავალ რიცხოვანმა დემონსტრაციამ აიძულა მთავრობა უმუშევართა დასახმარებლად ზომები მიეღო. მინისტრთა საბჭომ უმუშევართა შესაქცევათ დაადგინა სოქსონიის მოედანზე მართლმადიდებელთა სობოროს დანგრევა.

სხვადასხვა ამბები

ნორვეგიის უმუშევართა შორის.

მოსკოვი. 6 მარტი. ქრისტიანიის მუნიციპალეტში უმუშევართა მოთხოვნილებების გარჩევის დროს, უმუშევრებმა მოაწყვეს დემონსტრაცია. მრავალ რიცხოვანი ბრბო უმუშევართა ინტერნაციონალის სიმღერით შეიჭრა მუნიციპალიტეტის შენობაში.

კორეიაში.

მოსკოვი. 6 მარტი. წლის თავზე კორეიის ანექსიის გამო განზრახული დემონსტრაცია არ იქნა დაშვებული შეკრებილ რიცხვიდან დაპატიმრებულია პოლიციის მიერ 70 კორეელი. თვით კორეიაში იაპონიის პოლიციის მიერ მიღებულ ზომებით დღე ჩატარდა მშვიდობიანათ.

სპარსეთის მეჯლისში.

მოსკოვი. 5 მარტი. სპარსეთის პრემიერი მუსტაფა-იუსუფლი გამოვიდა მეჯლისში საპროგრამო სიტყვით, რომელშიც განაცხადა, რომ მთავრობა სთვლის სავალდებულოდ რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების, სადამოჯნო და სხვა კონვენციების დადებას. მთავრობის პროგრამაში შედის აგრეთვე სასამართლოს რეფორ-
მა, საგადასახადო რეფორმის გატ
რება, არმიის ორგანიზაცია მოხალ
სეობის საფუძვლებზე, როგორც საყ
ველთაო სამხედრო ბეგარაზე გადა-
სასვლელი ფორმა, დაუყონებლივ შე
მოღება ადგილობრივ თვითმართვე
ლობისა.

მემამულეების მიწები გლეხებს

გორის მაზრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სია

იმ სოფლებისა, რომლებშიაც ჩამორთმეულია მემამულეებისაგან ზედმეტი მიწები.

	დასახელება სოფლებისა	რომელ თემისა	ჩამორთმეულ მიწების რაოდენობა დღიურებათ.
1	ატენი	ატენის	43 დღიური
2	გარდატენი.	„	26 „
3	ოსიაური	ხაშურის	25 „
4	მონასტერი.	სურამის	16 „ 3/4
5	შინდისი	„	5 1/2 დღ.
6	ზეკორტი	„	7 დღ.
7	ბაიანთხევი	„	19 „
8	ბიჯნისი	„	28 დღ. და 3/4
9	ბელლეთი	„	4 1/2 დღ.
10	წრომი	ხცისის	94 დღიური
11	ქვემო-ჭალა.	ქვ. ჭალა	83 „
12	ურბნისი	რუისის	56 „
13	რუისი		754 „
14	ჭანკოტაძეების უბანი	ხაშურის	34 „
15	აზარმეთი	„	38 „
16	ქარელი	ქარელის	214 „
17	ქვ. ხვედურეთი	„	119 „
18	ზემო-ხვედურეთი	„	105 „
19	ძლევის-ჯვარი	დირბის	80 „
20	ტახტის-ძირი	„	78 „
21	დირბი	„	471 „
22	წაბლოვანი	სურამის	28 1/2 დღ.
23	ქემფერი	„	70 დღ.
24	ცხრა-მუხა	ხაშურის	48 1/2 დღ.
25	გორიჯვარი	გორის	33 დღ.
26	სვენეთი	„	129 1/2 დღ.
27	ტყვიავი	ტყვიავის	223 დღ.
28	ხაშურის თემის სხვა და სხვა თემის მცხ.	„	107 1/2 დღ.
29	ქვეში	„	79 დღ.
30	სათემო	„	51 1/2 დღ.
31	არცევი	„	47 1/2 „
32	ფლავი	„	144 1/4 „
33	ძევერა	„	168 3/4 „
34	ციცავიანთ-კარი	„	58 1/8 „
	სულ	—	3.489 1/8 დღიური

წითელ ქალაქებში

რუსეთი

ახალგაზრდათა კომკავშირის „აღდგომა“.

მოსკოვი. 6 მარტი, რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის ცეკამ შეიმუშავა ახალგ. კომკავშირის „აღდგომის“ გეგმა. კამპანიას ექნება საპროპაგანდო ხასიათი და მოქცეული იქნება უმთავრესად კლუბებსა და წარმოებებში. კამპანია დაიწყება მარტის შუა რიცხვებში. საღამოს კოპერნიკის ხსოვნის აღსანიშნავად, აღდგომის წინა დღით იაჩეიკებში გაიმართება საუბარი, რომელიც შეეხება ადგილობრივ საეკლესიო კრებებს და პატრიარქ ტიხონის გასამართლებას. „აღდგომის“ დღეებში გაიმართება საკლუბო საღამოები.

პეტროგრადის საგუბერნიო ალმასკომის პლენუმში.

მოსკოვი. 3 მარტი. პეტროგრადის საგუბერნიო ალმასკომის უკანასკნელ პლენუმს რეზინო-ტრესტისა და „კრასნი ტრეუგოლნიკი“-ს საქარხნო გამ-
გეობის შორის გამართულ ქიდილ
ხასიათი ჰქონდა. 1922 წლის გან
ლობაში ქარხანამ მუშების რაოდ
ნობა 4000 კაციდან 8000-მდე გა
დიდა, უნაყოფო დრო 1 პროცენტ
დე შეამცირა, თითო მუშის შრომ
ნაყოფიერება ომამდე არსებულ ნო
მის 107 პროც. მიაღწია. ქარხნის მ
შაობას ხელს უშლიდა მისი მომარ
გების ცენტრალიზაცია და ტრესტ
პოლიტიკა, რომელიც არ
რხანას ნაწარმოებთა თვითღირებ
ლების მიღების საშუალებას, რის გ
მოც შეუძლებელი გახდა მუშაობ
რაციონალური დაყენება. 17 თებ
ვალს ტრესტმა, რომელიც ქარხანა
ქვემდებარე დაწესებულებათ სთვლი
და, უეცრათ წინადადება მისცა ქარ
ხანას შეემცირებინა წარმოება.

რეზინო-ტრესტის თავმჯდომა
მიურატი ამართლებდა ტრესტის პ
ლიტიკას. ზინოვიევმა აღნიშნა, რ
ტრესტისა და ქარხნის ურთიერთობ
„გლავკიზმის“ რეციდივი ემჩნევა.

სრ. რუს. სახალ. მეურნეობის ს

რუსეთის კომუნისტურ პარტიის არსებობის და ბრძოლის 25 წლის თავი

(თეზისები)

რუსეთის კომპარტიის გამოცდილება — მსოფლიო კომუნიზმის კუთვნილებაა.

რუსეთის კომუნისტურ პარტიის რევოლიუციონური გამოცდილება იმდენათ დიდი, მრავალფეროვანი და პრაქტიკულად მნიშვნელოვანია, რომ მას უდიდესი ღირებულება აქვს მთელი საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობისათვის.

უბრალოთ კი არ არის რ. კ. პ. მე-3 ინტერნაციონალის პირველი პარტია. მისი ისტორია, გამარჯვება და დამარცხებანი იყო, არის და კიდევ დიდხანს იქნება იმ წყაროთ, რომლიდანაც არა მარტო რუსეთის, არამედ მსოფლიო პროლეტარიატიც მიიღებს გაკვეთილს, ცნობებსა და დირექტივებს კლასობრივ ბრძოლის თეორიისა და პრაქტიკის ყოველ საკითხის შესახებ.

ეს, პირველათ ყოვლისა აიხსნება მით, რომ რ. კ. პ. ამ თავის განვითარებაში 3 ისტორიული პერიოდი განვლო: ა) ის ჩამოყალიბდა ბურჟუაზიულ რევოლიუციამდე ე. ი. აღმოცენდა და მოქმედობდა ნახევრათ ფეოდალურ საზოგადოებაში, ბ) ის, როგორც ყველაზე მოწინავე და რევოლიუციონურ კლასის წინამძღოლი თვითმპყრობელ-ბატონყმურ სახელმწიფოსთან მებრძოლ რევოლიუციონურ ძალების სათავეში იდგა ე. ი. ბურჟუაზიულ რევოლიუციის მსვლელობაში უაქტივესი ფაქტორი იყო. გ) მიიყვანა რა ბოლომდე ბურჟუაზიული რევოლიუცია, მან აღმართა კაპიტალიზმთან უშუალო ბრძოლის დროშა, და გამოსტაცა რა 1917 წ. ოქტომბერში ძალა-უფლება კაპიტალისტებსა და მემამულეებს, ის პროლეტარულ სახელმწიფოს აღმშენებელ მმართველ პარტიათ გადაიქცა. ამ გვარათ რუსეთის კომუნისტური პარტიის ისტორია არის ისტორია ერთათ-ერთი პარტიისა, რომელმაც მუშათა ჯგუფიდან, ვიდრე სახელმწიფოს სათავეში მდგომ პარტიამდე გიგანტური ისტორიული გზა გაიარა. ეს ქმნის რ. კ. პ-ის გამოცდილებას უდიდეს განძათ მსოფლიო პროლეტარულ მოძრაობისათვის.

რ. კ. პ-ის განვითარების თავისებურობა

1-ლ პარტიულ ყრილობიდან (1898 წ. 14 მარტი) დაწყებული პარტიის 25 წლის ისტორია, იმავე დროს მასსიურ მუშათა მოძრაობის ისტორიაა. რუსეთის რევოლიუციონურ პროლეტარიატის პარტია იზრდებოდა დიად ისტორიულ ძალათ ქვეყნის კლასობრივ წინააღმდეგობათა ზრდასთან და რევოლიუციონურ პროლეტარულ ბრძოლის განვითარებასთან დაკავშირებით. კომუნისტურ პარტიის განვითარება რუსეთში განსხვავდება დასავლეთის ქვეყნების პროლეტარულ პარტიების განვითარებისაგან. ჩვენი პროლეტარულ პარტიის განვითარების თავისებურობა გამოწვეულია პროლეტარიატის მის მრავალ-რიცხოვან მტრებთან კლასობრივ ბრძოლის განსაკუთრებულ თვისებებით, რისი მიზეზიც რუსეთის კაპიტალიზმის თავისებურ განვითარებაშია.

დასავლეთ ევროპაში ბურჟუაზიულ რევოლიუციების ეპოქაში (1789 - 1771 წ. წ.) არ ქონდა ადგილი კლასობრივათ ჩამოყალიბებულ პროლეტარულ პარტიებს. ეს უკანასკნელნი შემდეგ კაპიტალისტურ დამოკიდებულებათა, ეგრე წოდებულ, „მშვიდობიან“ განვითარების ხანაში აღმოცენდენ, რუსეთში პროლეტარული (კომუნისტური) პარტია აღმოცენდა და განვითარდა ბურჟუაზიულ რევოლიუციის ხანამდე, როგორც სავსებით ჩამოყალიბებული პარტია, იგი მოქმედობდა პირობებში, რომლებმაც შეინარჩუნა კაპიტალიზმამდე არსებული (ე. ი. ფეოდალურ, ბატონყმურ) დამოკიდებულებათა მრავალი ნაშთი პარტიის მიერ 1903 წლის მე-11 ყრილობაზე მიღებული პროგრამა ამ გვარათ ახასიათებდა ამ პირობებს: „რუსეთში, სადაც უკვე გაბატონდა კაპიტალიზმი, დარჩა მრავალი ნაშთი კაპიტალიზმამდე არსებულ ძველ წესწყობილებისა, რომელიც დამყარებული იყო მემამულეების, სახელმწიფოს ან მისი მეთაურის მიერ მშრომელი მასსების დამონებაზე.

ეს ნაშთი ფრიად აბრკოლებს ეკონომიურ პროგრესს, ხელს უშლის პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლის ყოველმხრივ განვითარებას, ხელს უწყობს სახელმწიფოს და მდიდარ კლასთა მიერ მრავალ მილიონიან გლეხობის ექსპლოატაციის ბარბაროსულ ფორმების შენარჩუნება-გაძლიერებას და სიბნელეს და თვითნებობაში სტოვებს ხალხს.

ამ ნაშთთაგან ყველაზე მნიშვნელოვანს და მთელი ამ ბარბაროსობის სიმაგრეს მეფის თვით მპყრობელობა წარმოადგენს. თავისი ბუნებით ის მტერია ყოველ გვარ საზოგადოებრივ მოძრაობისა და არ შეიძლება არ იქნეს პროლეტარიატის განმათავისუფლებელ მისწრაფების უბოროტესი მოწინააღმდეგე“.

ამას უნდა დაურთოთ ის, რომ არა კაპიტალისტურ ნაშთების გვერდით, რომლებიც ქვეყნის ეკონომიურ ჩამორჩენილებას მოწმობდენ, განვითარებულ კაპიტალიზმის „უმაღლესი“ ფორმები და შედარებით მრავალრიცხოვანი, მსხვილ წარმოებებში დაგროვებული მუშათა კლასი იმყოფებოდა. ამასთანავე რუსეთის ბურჟუაზია დამოკიდებული იყო უცხოეთის კაპიტალის და თვითმპყრობელ-ბატონყმურ მთავრობის „სახაზინო ყუთისაგან“, რაიც მის პოლიტიკურ სიმჭკნარესა და სოციალ-ეკონომიურ სისუსტეს ქმნიდა. მრავალ მილიონიანი გლეხობა კი ნახევრათ ბატონყმურ მემამულეთა უღლის ქვეს ცხოვრობდა. ამის გამო პროლეტარული პარტია მოქმედობდა და თავის ტაქტიკას რუსეთის მსხვილ ჯიბიანთა ბარბაროსულ ექსპლოატაციის პირობებში, ნახევრად ბატონ-ყმურ სახელმწიფოში ქმნიდა აფეთქებდა მას შიგნიდან მძლავრ რევოლიუციონურ მოძრაობით, რომელსაც სათავეში მუშათა კლასი მოუძღოდა.

როგორი მტრებთან ბრძოლაში აღმოცენდა და განვითარდა რ. კ. პ.

3. რ. კ. პ-ას, როგორც მუშათა კლასის ავანგარდს, რომელიც მოქმედობდა ბურჟუაზიულ რევოლიუციის ეპოქაში, უხდებოდა ბრძოლა ერთ და იმავე დროს, ბატონყმურ-თვითმპყრობელ სახელმწიფოსთან და ლიბერალურ ბურჟ. წინააღმდეგაც, მუშათა მოძრაობის შიგ კი მას უხდებოდა გამწვავებული ბრძოლა პროლეტარიატის მოწინავე ჯგუფების და პროლეტარული მასსების, ერთის მხრით, წვრილ მესაკუთრეთა პარტიის—სოციალ-რევოლიუციონერებისა და, მეორეს მხრით, წვრილ ბურჟუაზიულ-მენშევიკების გავლენისაგან განთავისუფლებისათვის.

რამოდენიმე ათეულ წლის განმავლობაში პროლეტარული ავანგარდი ცარიზმის წინააღმდეგ იბრძოდა. თვითმპყრობელ-ბატონყმურ სახელმწიფოს აპარატი მისი არმიით, მოხელეობითა და პოლიციით ეყრდნობოდა და იცავდა მემამულე თავადაზნაურობას და სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის ზედაპირს, მეფის თვითმპყრობელობა მუშათა უავესი მტერი იყო.

მუშის კაპიტალის ბარბაროსულ ყვლეფის წინააღმდეგ დაულალავი ბრძოლა უხდებოდა და ამავე დროს ის ცარიზმის წინააღმდეგაც ილაშქრებდა. კაპიტალიზმთან ბრძოლის დროს მას მუდამ თვითმპყრობელობის პოლიციური რეჟიმი უღობავდა გზას.

მუშებმა მხოლოდ თანდათანობით შეიგნეს კაპიტალისგან განთავისუფლებისათვის მეფისა და მემამულე თავად-აზნაურობის უღლის წინასწარ ჩამოგდების აუცილებლობა. სწორეთ ასევე მათ მხოლოდ თანდათან გაიგეს, რომ მუშათა ბრძოლის წარმატებითი წარმოებისათვის მასსებს სჭირია საკუთარი დამოუკიდებელი კლასობრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია, ე. ი. პარტია.

და აი ამ კლასობრივ პოლიტიკურ ორგანიზაციის—პროლეტარულ პარტიის შენება მუშებს უხდებოდათ ნახევრათ ბატონ-ყმურ თავად-აზნაურულ თვითპყრობელობის პირობებში, რომელიც ულმობელ ხელით შლიდა ამ ცდას და მუშებს ჯურღმულში ჰყრიდა. ეს ბრძოლა მრავალფეროვან ფორმებს იღებდა, სხვადასხვა საშუალებით სწარმოებდა, დაწყებული წრეებში პროპაგანდიდან, მასსიური აგიტაციიდან, გათავებული მასსიურ გაფიცვის შეიარაღებულ აჯანყებასთან შეხამებით. მოძრაობა და პარტია ხან იატაკის ქვეშ ჩადიოდა ხან მოქმედების ღია ასპარეზზე ფართოთ იშლებოდა, ხან კი აშკარა და ფარულ მუშაობას ერთი მეორეს უფარდებდა.

4. მეფის თვითმპრობელობასა და თავად-აზნაურობასთან ამ ბრძოლაში დაინტერესებულნი იყვნენ ძლიერნი კაპიტალისტურ ქვეყნისა—მექარხნეები და ფაბრიკანტები. ისინი წინააღმდეგი არ იყვნენ მუშაობის გამოყენებისა, რათა უკანასკნელთა დახმარებით თავად-აზნაურობის და მეფის თვითმპყრობელი ხელის-უფლება კაპიტალიზმის სასარგებლოთ განესაზღვრათ. თვითმპყრობელ-პოლიციური რეჟიმი დიდ დახმარებას უწევდა მათ მუშათა გაფიცვების ჩაქრობისა და ქარხნებში „ამბოხების“ ალაგმვის საქმეში, მაგრამ ამავე დროს ცარიზმის სახელმწიფოებრივი სისტემა კაპიტალიზმის განვითარებას აფერხებდა და ხელს უშლიდა კაპიტალისტურ ექსპლოატაციის გაფართოვებას. ამიტომაც მექარხნეთა,—ფაბრიკანტების ვაჭრების და მემამულე-კაპიტალისტთა შორის დიდი ხანია რაც განვითარდა ლიბერალური მოძრაობა, რომელიც კონსტიტუციისაკენ ე. ი. მეფის ხელისუფლების სახალხო წარმომადგენელთა კრებით („სახელმწიფო სათათბირო“ პარლამენტში) განსაზღვრისაკენ მიისწრაფებოდა. ბურჟუაზიული ლიბერალიზმი წინააღმდეგი არ იყო იმისა, რომ მუშებს თვითმპყრობელ სახელმწიფოსათვის გვერდები დაეზილათ და იმავე დროს ეშინოდათ, რომ მათ სულ არ ჩამოეგდოთ მეფე და თვით ბატონ კაპიტალისტისათვის (ქალაქში და სოფლად) გვერდები არ ჩაელეწათ რუსეთის ბურჟუაზიას დაბალ ხალხის მასსიურ მოძრაობის შიში იცავდა, ის არას დროს რევოლიუციონური არ იყო, არამედ ყოველთვის მქნარი, მშიშარა, ფლიდი, ყოველ ჟამს მომზადებული მეფისა და მემამულეებისაკენ ხალხის წინააღმდეგ ებრუნათ პირი. ამიტომაც თავად-აზნაურთა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მის გამოსვლებში არ იყო, და არც შეიძლებოდა ყოფილიყო დამოუკიდებლობა და სიმამაცე. ამიტომაც მეფის რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლის დროს მუშათა კლასს არ შეეძლო ბურჟუაზიის დასამარების იმედი ჰქონოდა—პირიქით, მუშათა კლას თითქმის მუდამ, და განსაკუთრებით 1905 წლის შემდეგ, ერთ და იმავე დროს ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ უხდებოდა ბრძოლა.

პირველ 1905—7 წლების რევოლიუციიდან დაწყებული, მეორე 1917 წლის (თებერვლის) რევოლიუციამდე ბურჟუაზიულ ლიბერალიზმის წინააღმდეგ პროლეტარულ ავანგარდის ეს ბრძოლა წითელის ხაზით არის აღნიშნული მთელი ათეულ წლის სიგრძეზე. ეს ბრძოლა მოითხოვდა პარტიისაგან ძირითად მიზნების და უახლოეს ამოცანების სრულს ნათელყოფას, დიდს რევოლიუციონურს ტაქტს და მოქნილობას. ის ასალკლდევებდა პარტიას და წვრთნიდა მუშათა ფართო მასსებს.

5. თვითმპყრობელ-კაპიტალისტურ წესწყობილებასთან ბრძოლაში მუშათა კლასს შეეძლო დაყრდნობილიყო გლეხობის ფართო მასსებზე, რომელიც მემამულე აზნაურთა ნახევრათ კაპიტალისტურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა, მეფის რეჟიმის უღელქვეშ კვნესოდა და მკვიდრათ დაინტერესებული იყო ამ რეჟიმის ჩამოგდებაში. ამიტომაც, როდესაც პროლეტარულ რევოლიუციონური ავანგარდი სულ ახლო მივიდა მეფის რეჟიმის ჩამოგდების განხორციელებამდე (რევოლიუციონურ 1905—7 წ. წ.), ის არ დაკმაყოფილდა „მეფის თვითმპყრობელობის ჩამოგდებით და დემოკრატიულ რესპუბლიკის დაწესებით“ (1903 წლის პროგრამა), არამედ პროლეტარიატის და გლეხობის რევოლიუციონურ-დემოკრატიულ დიქტატურისათვის ბრძოლის ტაქტიკურ ლოზუნგით გამოვიდა. ცარიზმის მიერ მიჭყლეტილი და მემამულის ნახევრათ ბატონყმურ დამოკიდებულებით მუხრუჭ-მოჭერილ გლეხს შეეძლო განთავისუფლებულიყო, დაქცევისა და ჩაგვრისაგან, მიეღო მიწა და თავისუფლება მხოლოთ მებრძოლ მუშათა კლასთან შეერთებით. გლეხი მუშათა კლასის ერთათ ერთი მოკავშირე იყო მეფის თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში. პროლეტარიატს და მის პარტიას ბრძოლა უხდებოდა გლეხურ მასსებზე გავლენისათვის ბურჟუაზიულ ლიბერალიზმის წინააღმდეგ (ბატონ მილიუკოვის კადეტთა პარტია), რადგან იმაზე თუ ვის გაჰყვება გლეხობა—მუშას თუ კაპიტალისტს—დამოკიდებული იყო რევოლიუციის ბედი.

აქ ყურადსაღებია კიდევ ერთი გარემოება. გლეხი მემამულეზე გამარჯვებისათვის მკვიდრათ იყო დაინტერესებული მუშასთან კავშირში, მაგრამ იმავე დროს გლეხი, უმთავრესათ, წვრილი მესაკუთრეა. ამით განისაზღვრა ბურჟუაზიულ რევოლიუციის ხანაში მისი დამოკიდებულება მუშათა სოციალიზმისადმი. მუშათა სოციალიზმის მოძღვრება მისთვის უცხოა და გაუგებარი. მაგრამ ამასთანავე მემამულესა და ბატონყმურ სახელმწიფოსთან მისი ბრძოლის რევოლიუციონურობა ადვილათ ათვისებინებს მას ყოველგვარ მიწის თანასწორ განაწილების, ვითომდა სოციალისტურ გეგმებს და აი როდესაც რუსეთის მცირე შეძლებიან ინტელიგენცია ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის გამოვიდა, მას შეეძლო თავისი ბრძოლის და წვრილ-ბურჟუაზიულ სოციალისტურ თეორიებისათვის დასაყრდნობი ეპოვა, და ნაწილობრივ, იპოვა კიდეც, მესაკუთრე-გლეხურ მასსაში, რომელიც სტიქიურათ იბრძოდა და მემამულეებისა და მემამულეთა სახელმწიფოს წინააღმდეგ.

900 წლებში წარმოშობილი სოც.-რევოლიუციონერების პარტია იყო წვრილ-ბურჟუაზიულ სოციალიზმის ინტელიგენტური პარტია, რომელიც გლეხობაში ეძიებდა დასაყრდნობ წერტილს და ამ ანგარიშით ადგენდა თავის, ვითომ და სოციალისტურ პროგრამას. ესერების პარტია ტიპიური წვრილ-ბურჟუაზიული პარტია იყო, რომელიც ხან შრომით დამძიმებულ გლეხის ბუნდოვან განმათანასწორებითი ძიებას გამოხატავდა, ხან კი ლიბერალურ ინტელიგენციის წრეებთან შეთანხმების მხრით იხრებოდა (1904 წლის პარტიული თათბირი). მაგრამ ეს პარტია—ღვიძლი და 70—80 წლების „ნაროდნიკობის“ ინტელიგენტურ ნაწილისა — ჟამთა ვითარებასთან უნდა შეფარდებულიყო და ანგარიში გაეწია გაფართოებულ მუშათა მოძრაობისათვის. მას განზრახული ქონდა ინტელიგენტის, გლეხის და მუშის ერთ ჭერ ქვეშ გაერთიანება. რევოლიუციონურ პროლეტარიატის პარტიას მუშათა მოძრაობის ფარგლებში უნდა გაემართა არა ერთი ბრძოლა სოციალ-რევოლიუციონერთა პარტიასთან, რომელშიაც ადრევე მან ბურჟუაზიული რევოლიუციონერები იცნო. მუშათა მასსაში შესვლისთანავე, სოციალ-რევოლიუციონერები გამოდიოდენ იქ თავისი წვრილ-ბურჟუაზიული მეშჩანობით, რომელსაც ისინი სოციალისტურ პროგრამათ აღიარებდნენ. ტერორის ქადაგებით (ცარიზმის მოსამსახურეებზე ცალკე თავდასხმა) ისინი მუშებს მასსიურ ბრძოლის ერთ-ერთ სწორ გზას
აშორებდენ. მიწის გათანასწორ
მეშჩანურ ზრახვაზე დამყარებულ აგ
რულ პროგრამის პროპოგანდით,
შათა მოძრაობაში მათ შეჰქონდ
უდიდესი გახრწნა. ისინი წამ-და-უ
თვალთმაქცობდენ მუშათა სოციალ
მის ყოვლათ უვარგის კრიტიკით, რ
მელსაც დასავლეთ ევროპაში სოცია
დემოკრატიის შემთანხმებელი ელე
ტი აწარმოებდა და მით რუსეთ
მუშათა მოძრაობაში ადგილს უთმ
დენ ყოველგვარ ბურჟუაზიულ გავლე
ნას.

თავისი მოღვაწეობა, როგორც ცნ
ბილია, ამ პარტიამ დაასრულა მ
რომ, 1917 წლის თებერვლის შემ
შექნა მენშევიკებთან ერთათ შე
ხმებითი კავშირი, ახხორციელე
ბურჟუაზიასთან კოალიციას და ო
ოქტომბრის შემდეგ პროლეტ
რევოლიუციის წინააღმდეგ მიმართ
ტერორის საშუალებით დახმარ
უწევდა ღენერლებსა და კაპიტა
ტებს მუშათა და გლეხთა სახელ
ფოს დამხობისათვის. პროლე
რულ რევოლიუციის ხანაში ბურ
ზიული რევოლიუციონერებიდან
რები ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლ
ციონერებათ გადაიქცენ.

რევოლიუციონურ სოციალ-დე
კრატიას (პროლეტარულ პარტ
დიდი ღონისძიება უნდა გაეწია,
თა გაექარწყლა იმ პარტიის გავლ
მუშათა წრეებში და იმავე დ
დაეკავა მათთან ერთიანი ფრო
ცარიზმთან ბრძოლის საქმეში. რ
დენადაც ესერებს (და სხვა „ნარ
ნიკულ“ ჯგუფებს, მაგალითად, „ტ
დოვიკებს“) გლეხური მასსები მის
ვდენ, იმდენათ პროლეტარულ პ
ტიისათვის ხელსაყრელი იყო მემა
ლეთა მიწათ-მფლობელობისა და
ტონყმურ სახელმწიფოსთან ბრძო
ში, მათი გამოყენება და, აგრე
ნაწილობრივ მათთან მოქმედებ
ლაქის დემოკრატიულ და სო
წვრილ ბურჟუაზიის ნაწილის ლ
რალურ-ბურჟუაზიის (უმთავრესა
დეტთა პარტიის) გავლენისაგან
სათავისუფლებლად და ესერების
რტიის წინამძღოლთა მერყეობ
ბრძოლისათვის. ამ ბრძოლაში წ
ბურჟუაზიულ ესერთა სოციალი
წინააღმდეგ და, იმავე დროს,
რებთან და სხვა „ნაროდნი
ჯგუფებთან ერთად (რამდენ
მათ დემოკრატიულ გლეხების
ბი მოსდევდნენ) მემამულეთა მ
მფლობელობის, მემამულეთა ს
მწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში,
ნი პარტია გამოიბრძმედა და
წვრთნა.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოს თავმჯდომარემ ბოგდანოვმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი არის გამო- ატულება მთელი მრეწველობის რეორგანიზაციის საჭიროებისა, ამ სა- ითხის შესასწავლად დაწესებულია ხალხო მეურნ. საბჭოთა სპეციალუ- ი კომისია.

აღმასკომმა მიიღო ზინოვიევის და ბოგდანოვის წინადადება, რომლის თანახმად სახალხო მეურნ. საბჭოს ევალება რეზინის მრეწველობის რეორგანიზაცია და „კრასნი ტრეუგოლნიკი“ კი გამოიყოფა, როგორც დამოუკიდებელი ერთეული.

ქალთა საერთაშორისო დღე

მოსკოვი, 6 მარტი. ქალთა საერთაშორისო დღისათვის ვიტებსკის საგუბერნიო პოლიტ-განათლება ხსნის ულქების ფაბრიკასთან სკოლას 100 ოზრდილ მუშა ქალთათვის და აგ- რეთვე წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციო პუნქტებს სხვა ფაბ- იკებთან.

— მომავალ ქალთა დღესთან და- ავშირებით პროფინტერნმა გამოუ- ვა მოწოდება, რომელშიც ნათქვამია: ევოლიუციის ზარის რეკამ გააღვი- პროლეტარულ მუშა-ქალთა არა რთი ასი ათასი, არამედ მთელი ული მილიონები ბრძოლის გარე- მდგომი მუშა-ქალებისა“. მოწო- ება სალამს უგზავნის მუშა-ქალებს, ომლებიც ფეხი-ფეხ მისდევენ რევო- ლიუციონურ ამბებს და ცვლილებებს, რათა გახდენ თავისუფალ საზოგადოების თავისუფალ ქალებათ.

— პროსტიტუციასთან მებრძოლმა ცენტრალურმა საბჭომ მიმართა ადგილობრივ საბჭოებს წინადადებით მუშა-ქალთა დღეს აწარმოონ ფართო განმანათლებელი კამპანია პროსტიტუციასთან საბრძოლველად.

— შრომის სახალხო კომისარიატმა დაადგინა გაანთავისუფლოს 8 მარტს მუშა-ქალები ყველა წარმოებებში და დაწესებულებებში ჩვეულებრივ ვადის ორი საათით ადრე. იმ შემთხვევებში, თუ სამუშაოსაგან განთავისუფლება ზიანს მოუტანს საზოგადოებრივ აუცილებლობას (ტელეგრაფი, ტელეფონი, საავადმყოფოები), მუშა ქალები სამუშაოსაგან არ თავისუფლდებიან და ღებულობენ ხელფასს იმ ორ საათში გაორკეცებით.

ამიერ-კავკასიის ეკონომიური თათბირი

მეორე პლენუმარული სხდომის გაგრძელება

(ამხ. მიასნიკოვის სიტყვა)

აქ ლაპარაკობდენ სხვა და სხვა ანებზე, ლაპარაკობდენ პროდუქტე- ის გასაღებაზე. რაიონებათ დაყო- ფაზე. მე ვფიქრობ, რომ ასეთ საკი- ხებმა არ უნდა შეაჩეროს ჩვენი ყუ- რადღება.

უნდაც იგივე ალექსანდროვი, ომელმაც წამოაყენა გეგმა რაიონე- ათ დაყოფის შესახებ ლაპარაკობ- , რომ კავკასიის რაიონის (ჩრდი- ო კავკასიის) და ამიერ-კავკასიის ნტრად უნდა გახდეს კავკავი. ს ისეთი უაზრობაა, რომ არც კი ის საჭირო მას ანგარიში გაეწიოს. ე ვფიქრობ, რომ უმჯობესია ეს ითხები ჯერ-ჯერობით გადავსდოთ მივაქციოთ ყურადღება ამხ. ავა- ვის მოხსენების ძირითად მოსა- ებებს. აქვს თუ არა მას რაიმე სა- ლმძღვანელო თვალსაზრისი, ეს უნ- გამოვარკვიოთ. ის ასეთ სახელ- ვანელო აზრს არ იძლევა. თავის ენებაში ის ყველაფერზე ლაპა- კობს. და როდესაც თეზისებს კი- ლობ, იქაც ყველაფერზეა ლაპა- აკი. მაგრამ რა არის საჭირო დღეს, , რა უნდა გავაკეთოთ ჩვენი წველობისათვის 1923, 24 და 25 ებში. უნდა გამოვიდეთ ამ 3 ან ლებიდან და იქიდან რაც ამიერ- კასიამ უკანასკნელი 3 წლის გან- ლობაში განიცადა. მან ისეთი სა- ილება განიცადა, რომ ერთხელ სამუდამოთ ბოლო უნდა მოვუ- თ მას.

მისათვის საჭიროა გეგმა, როგორც ლმძღვანელო თვალსაზრისი. ამხ. კოვი მართალია, როდესაც ის ლა- კობს ისეთ მნიშვნელოვან საგან- როგორც აღრიცხვაა. აღრიცხვას— ი მნიშვნელობა აქვს. აღრიცხვა როა. მენშევიკებმა და სხვებმა მალეს ეს სიტყვა ჩვენი ლექსიკო- ან და ამხ. ავაკოვი მართალია, ოდესაც ლაპარაკობს, რომ ესა თუ რესპუბლიკა აწყობს ისეთ წარ- ებებს, რომელიც სრულიად არ არის საჭირო. აზერბეიჯანში ეწყობა ისეთი წარმოებანი, რომელიც საქართველოში უკვე არსებობს. ან შეიძლება ჩვენ დაგვავიწყდა არითმეტიკა, და ანგარიში, რომ როდესაც ცხვირის წინ ჩვენ გვაქვს ბაქოს ნავთი, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ოც-ოცი ფუთობით ქაჩავს მას, მიაგნო რა ნავთიან ადგილს და სურს მეტოქეობა გაუწიოს ბაქოს. საჭიროა ასეთ რამეებს ბოლო მოეღოს, ხოლო ასეთი ფაქტები ბლომად მოიპოვება. ამ ჟამად ამიერ-კავკასია ხსნის მანუფაქტურის 2 ფაბრიკას: ერთს ქუთაისში და მეორეს ალექსანდროპოლში. საჭიროა თუ არა მათი მოწყობა? ამაზე იხარჯება დღეს ასი მანეთი ოქროთი, ხოლო ხვალ საჭირო იქნება მილიონები, და არ ვეკითხებით ჩვენ თავს, არის თუ არა ეს საჭირო ჩვენთვის? და ეს არ არის ერთი მაგალითი. იგივე ითქმის ტყავის წარმოებაზე და სხვა. შესაძლოა ჩვენ მოგვიხდეს ხვალ მათი დახურვა და სხვა ისეთი წარმოების დაწყება, რომელიც შეეფერება ჩვენ მოთხოვნილებებს და სინამდვილეს. ამგვარად პირველი დასკვნა: აღრიცხვა იმისი რაც გვაქვს, და იმისიც რაცა გვაქვს, მაგრამ არა გვჭირია. ამ მხრივ ამხ. დუბენსკი მართალია—ჩვენ გვინდა ამიერ-კავკასიის სტატისტიკური სამმართველო და ეს კი ყოველ ეჭვს გარეშეა. ეხლა მეორე საკითხი, რომელსაც მომხსენებელი აყენებს: ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის ეკონომიური დაქსაქსვის შესახებ. სამწუხაროთ ამ საკითხზე ის არ შეჩერდა. მისი თეზისები ეწინააღმდეგებიან მის სიტყვებს 17 მუხლში და გულისხმობენ სწორედ ამ დაქსაქსვის გაძლიერებას. ეს დაქსაქსულება კი იქნება არა ეკონომიური და გეოგრაფიული მიზეზებით, არა ამით, რომ არსებობს მთები, რომელიც ჰყოფს ამიერ-კავკასიის ხალხებს და მეურნეობას. ეს შექმნილია პოლიტიკური, ხელოვნური ზომებით და საჭიროა ამისი აღმოფხვრა. წინად საკითხი შეეხებოდა საზღვრებს,—ეხლა კი აღრიცხვის უქონლობას. ეს აიხსნება იმით, რომ ხალხი, რომელიც აზერბეიჯანში სცხოვრობს, ივიწყებს რომ საქართველოშიაც სცხოვრობს ხალხი, იქაც მრეწველობაა და აქაც, და აწყობენ პარალელურად ისეთ მრეწველობას, რომელიც ქვეყნის მოთხოვნილებას აჭარბებს. ეს არის დაქსაქსულობის შედეგი. ასე რომ დაქსაქსულობის საკითხი არის მთავარი საკითხი. ეს საკითხი უნდა გადასწყდეს და შევიმუშაოთ ერთიანი სამეურნეო გეგმა; ჩვენთვის საჭიროა ერთიანი მეურნეობა. თეზისების 17-ე მუხლში ნათქვამია, რომ ამიერ-კავკასიას უნდა ქონდეს ერთი სამეურნეო სახელმძღვანელო ცენტრი, შემდეგ სამრეწველო ცენტრი და სრულიად განცალკევებული რესპუბლიკების სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოები. ამგვარად მომხსენებელი გულისხმობს, ხელმძღვანელი ცენტრის ამიერ-კავკასიისათვის და შემდეგ თვითეულ რესპუბლიკისათვის. რით განირჩევიან ისინი ერთმანეთისაგან. მაგ. საქართველოს სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭო, როგორც ხელმძღვანელი ცენტრი და ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო. რა განსხვავებაა მათ შორის? აყენებს თუ არა ასეთ საკითხს მომხსენებელი? თეზისები უპასუხებენ ამ კითხვებზე, მაგრამ უარყოფითად, და არა დადებითად. შემდეგ, ამხ. ავაკოვი ამბობს, რომ საჭიროა, რათა ამიერ-კავკასიის ცენტრს ქონდეს „ოპერატიული ზეგავლენა“ რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებზეო. ის ამბობს, რომ რესპუბლიკების სახ მეურნეობის უმაღლესი საბჭოები რჩებიან ოპერატიულ ცენტრებათ და მეორეს მხრივ მას თითქოს ეშინია და მათთვის აწესებს „ოპერატიულ ზეგავლენას“. რას ნიშნავს ეს. ჩვენის აზრით ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთს წაეჩხუბებიან: ამიერ-კავკასიის ცენტრი ადერბეიჯანის და სომხეთის ცენტრს და სხვა. სისწორით უნდა განვსაზღვროთ რა ურთიერთობაში უნდა იყონ ისინი ერთმანერთს შორის. თუ რომ ერთი მათგანი იქნებოდა ხელმძღვანელი. ხოლო მეორე ოპერატიული, ეს ჩემთვის გასაგები იქნებოდა, მაგრამ თქვენ მეუბნებით, რომ ერთიც და მეორეც ხელმძღვანელი იქნებაო. მე მაშინ ვფიქრობ, რომ თქვენ ლაპარაკობთ ორ პარალელურ ორგანოებზე, კინკლაობაზე და ძალების უნაყოფო დახარჯვაზე. ერთიანი ეკონომიური პოლიტიკა საჭიროა. მესამე დიდი, მნიშვნელოვანი და ძირითადი საკითხი, რომელზედაც ამხ. ავაკოვმა არ გვიპასუხა ჩვენ არც თავის მოხსენებაში, არც თეზისებში ეს არის საკითხი, თუ რომელ მრეწველობისაკენ უნდა ვილტვოდეთ ჩვენ. ამას ვერ ვხედავთ ჩვენ არც მოხსენებიდან და არც თეზისებიდან. დარჩება მსხვილი მრეწველობა, თუ მსუბუქი მრეწველობა? თეზისების მე-10 მუხლი გულისხმობს, მე-11 მუხლში კი ერთნაირი ყურადღება აქვს მიქცეული მსხვილ მრეწველობასაც, გამოდის რომ ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ მთლიანად მთელი მრეწველობა. მე ვფიქრობ, ორში ერთი—ორი კურდღლის დაჭერა ერთად ძნელია, ჩვენ დღეს გადაჭრით უნდა გამოვარკვიოთ, თუ როგორი იქნება ამიერკავკასიის მრეწველობა, იქნება იგი მსუბუქი თუ მძიმე. ჩემის აზრით მძიმე ინდუსტრიის საკითხი ღია უნდა დარჩეს ჯერ ჯერობით. ჩვენ ამ ჟამად იმ საკითხს არ წამოვაყენებთ, ეს ჩვენ ძალ-ღონეს აღემატება. ჩემის შეხედულებით რჩება საკითხი მხოლოდ მსუბუქი მრეწველობის შესახებ. ჩვენ საკმაოთ მოგვეპოვება ნედლი მასალა და შეგვიძლია მისი დამუშავება და გატანა, ეს საკითხი მჭიდროთაა დაკავშირებული ჩვენ სასოფლო მეურნეობასთან. სამწუხაროთ ამხ. ტიმოფეევმა სისწორით არ განსაზღვრა მუშაობა სასოფლო მეურნეობის დარგში. პური, ჩემის აზრით, ანგარიშში არ არის მისაღები, რადგან ამიერკავკასიაში დღეს ზედმეტი პური არ იქნება. ამიერკავკასია არის ქვეყანა ძვირფასი კულტურის, თამბაქოს, ჩაის და ბამბის მოყვანისა; მუღანს უნდა მიექცეს ყურადღება, უნდა მოეწყოს იქ მელიორაცია. გამოვდივართ რა ამ მოსაზრებიდან, ჩვენ უნდა ვიმუშაოთ სწორეთ ამ დარგში, ჩვენ უნდა გადავამუშაოთ თამბაქო, და ბამბა გვაქვს ჩვენ ტყავეულობაც, ხის დამმუშავებელი წარმოება, ყველის მომზადება, საკონსერვო წარმოება, აი რას უნდა მივაქციოთ უმთავრესი ყურადღება. მძიმე ინდუსტრიას თავი უნდა დავანებოთ, რადგან ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ მრავალი შესაძლებლობანია ამ მხრივ, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ძალების დაქსაქსვა. ჩვენ გვაქვს მშვენიერი ტყვარჩელის ნახშირი. ნახშირი მაღალ ღირსებისა და ბლომადაც მოიპოვება. ნახშირიდან მიიღება სხვა და სხვა პროდუქტები, როგორც საპარფიუმერიო ნივთიერება, ფისი და სხვა. ამას შეუძლია გაგვაცალოს ჩვენ, ძველი მთავრობის დროს მტაცებელნი იყვენ ამით, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა. იქ საჭიროა რკინის გზის გაყვანა, და დიდძალი საშუალების დახარჯვა, მაგრამ, სამწუხაროთ ჩვენ არ შეგვიძლია მივაქციოთ მას საჭირო ყურადღება. იგივე ითქმის შავ ქვაზე. მას ჩვენ არ ვამუშავებთ, მხოლოდ გაგვაქვს ეს ჩვენ უნდა მივანდოთ ჩვენ თეორეტიკოსებს, დეე მათ შემუშავონ სხვა და სხვა გეგმები, მაგრამ პრაქტიკაში ჩვენ ხელი უნდა მოვკიდოთ მსუბუქ ინდუსტრიას. მე ვფიქრობ, რომ მოხსენებაში საჭირო იყო ახლო მომავალში მოსალოდნელ მუშაობის დახასიათება. ის ამხანაგები, რომელნიც გაილაშქრებენ ჩემს წინააღმდეგ, დეე გაილაშქრონ, მაგრამ მე რომ მომხსენებელი ვყოფილიყავი, მე ვიტყოდი, რომ დღეს საჭიროა ხელი მოვკიდოთ კულტურულ მცენარეების მოშენებას სასოფლო მეურნეობაში, ხოლო მრეწველობაში უფრო მსუბუქ წარმოებებს.

მესამე პლენარული სხდომა.

გრძელდება კამათი ამხ. ავაკოვის მოხსენების გამო.

ამხ. კარაპეტიანი. სამრეწველო წარმოებათა საკითხის შესახებ ფიქრობს, რომ ზოგიერთ წარმოებათა დახურვა არ არის საკითხის გადაწყვეტა. ამიერ-კავკასიაში მსხვილი ინდუსტრია არ არსებობს, მაგრამ რაც არსებობს მას დახმარება უნდა გაეწიოს. ჩვენი შავი ქვა თანდათან იჭერს პირველ ადგილს მსოფლიო ბაზარზე და პოულობს უპირატესობას ინდოეთის და ბრაზილიის შავი ქვის წინაშე. ბუნებრივია, რომ ამ მრეწველობას დახმარება უნდა გაეწიოს. იგივე ითქმის ტყიბულის ნახშირზე და მარილის დამუშავებაზე. სპილენძის მრეწველობას არ შეუძლია აღორძინება, მაგრამ სხვა წარმოებების მიტოვება არ შეიძლება.

ამხ. პაჩიკიანი ამტკიცებს, რომ მთავარი ენერგია უნდა იქნას მიმართული სასოფლო მეურნეობის აღდგენისაკენ, ვინაიდან ამიერ-კავკასია ჯერ კიდევ კარგა ხანს დარჩება მიწათმოქმედების ქვეყნათ.

ამხ. ზავალიშინი ფიქრობს, რომ მეურნეობის რომელიმე დარგის განვითარებაზე უარის თქმა საშუალებათა უქონლობის გამო შეუძლებელია უცხოეთის კაპიტალის მოზიდვის საკითხის გამო ამხ. ზავალიშინი ფიქრობს, ამ მიმართულებით მუშაობა აუცილებელია. სასოფლო-მეურნეობაში ყურადღება უნდა მიექცეს იმ დარგების განვითარებას, რომელიც საექსპორტო ფონდს იძლევა.

პროფ. ტიმოფეევი ამტკიცებს, რომ სასოფლო-მეურნეობის აღდგენას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება, უნდა დავიწყოთ ხორბლეულით და დავამთავროთ ძვირფასი კულტურის აღდგენით.

ამხ. ვინოგრადოვი-ნიკიტინი. აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის ტყეებს ყოველწლიურად ემატება 425 მილიონი კუბ. ფუტი. მცირეოდენი საშუალებათა დახარჯვით ძალიან ხელსაყრელად შეიძლება გამოყენებულ იქნას ტყის სიმდიდრეო. საბოლოო სიტყვა მიეცა ამხ. ავაკოვს, რომელიც იცავს თავის თეზისებს რის შემდეგ კამათი დასრულდა.

მეოთხე პლენარული სხდომა

შინაური ვაჭრობა, მისი ორგანოები და ვაჭრობის კანონმდებლობა.

(ამხ. ერქომაიშვილის და სულთანოვის მოხსენებანი).

ამხ. ერქომაიშვილი აკეთებს მოხსენებას შინაურ ვაჭრობის შესახებ, რომელიც ამ ჟამად წარმოადგენს სახელმწიფოებრივ, კოოპერატიულ და კერძო ვაჭრობას. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ვაჭრობის დიდი ნაწილი კერძო ინიციატივის ხელში იმყოფება და რომ ამის წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა, მძლავრი სახელმწიფოებრივი აპარატის მოწყობით. თვითეულ რესპუბლიკაში უნდა მოეწყოს „სახელმწიფო ვაჭრობის ორგანო“ საპაიო საფუძვლებზე. კერძო კაპიტალის მოსაზიდავათ საჭიროა ბაზრის განყოფილების დაარსება. ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან უნდა შესდგეს შინაური ვაჭრობის კომისია, ხოლო რესპუბლიკებში მოწესრიგებულ აპარატებით შეუძლია იყოს ეკონომიური თათბირები. ვიღებთ რა მხედველობაში ბონების დაცემას ყველა საბირჟო ცენტრებში უნდა მოეწყოს სავაჭრო ბირჟები. ნებას ვრთავთ რა კერძო ვაჭრობას არ უნდა უარვყოთ ბრძოლა მის წინააღმდეგ ვაჭრობის მნიშვნელოვან დარგების დაპყრობით კოოპერაციასთან მჭიდრო კონტაქტის საშუალებით. კერძო უფლებრივ ურთიერთობის საკითხები და კანონმდებლობა უნდა გატარდეს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ შინაურ ვაჭრობის კომისიაში.

მომხსენებელი **სულთანოვი** არ ეთანხმება ერქომაიშვილის მიერ წარმოდგენილ სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციის ფორმებს.

შინაურ ვაჭრობის ხელმძღვანელ ორგანოთ თვითეულ რესპუბლიკაში უნდა იყოს ვაჭრობის მრეწველობის სახ. კომისარიატები უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მეთაურობით.

სახელმწიფო წარმოებათა პროდუქტების გასანაღდებლად უნდა მოეწყოს სპეციალური სავაჭრო აპარატი. კერძო და უცხოეთის კაპიტალის მოზიდვის საკითხი უნდა იყოს მორიგი ამოცანა. ბაზრობასაც უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანაა ვაჭრობის მოწესრიგების საკანონმდებლო ნორმების დაწესება შინაურ და საგარეო ვაჭრობის შორის უნდა არსებობდეს მჭიდრო კავშირი.

მოხსენებების გამო გაიმართა კამათი.

ამხ. **გრიგორიანი** ფიქრობს, რომ მრეწველობის საზიანოთ სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭოებმა არ უნდა მოჰკიდონ ხელი ვაჭრობის მოწესრიგების საქმეს.

ამხ. **გაჯინსკი** ფიქრობს, რომ სამრეწველო წარმოებებს არ უნდა მოესპოთ საშუალება გაანაღდონ თავიანთი წარმოების პროდუქტები და საჭიროა სავაჭრო აპარატების ჯგუფებად მოწყობა და არა „სახელმწიფო ვაჭრობისა“, რომელსაც შეუძლია ივაჭროს ყველაფრით, დაწყებული საპონიდან და გათავებული სახელმძღვანელოებით. სახელმწიფო ორგანოებისათვის განსაზღვრულ წესების შემოღების საკითხის გამო, ამხ. გაჯინსკი მიზანშეწონილად სთვლის საარბიტრაჟო კომისიის დაარსებას.

ვაჭრობის საკითხის შესახებ. ამხ. **ხმირნოვი** აყენებს დებულებას, რომ სახელმწიფოს ხელში უნდა დარჩეს წარმოება და განაწილება, გაცვლა-გამოცვლა კი შესაძლებელია დატოვებულ იქნას კერძო კაპიტალის ხელში.

ამხ. **პადერინი** აღნიშნავს მთელ რიგ ლონისძიებებს კოოპერაციის და ვაჭრობის მოსაწესრიგებლად.

ამხ. ამხ. ალექსანდრე კვარაცხელიას და ბესარიონ გვიჩიას ხსოვნას

ამა წლის თებერვალში ულმობელმა სიკვდილმა, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მიხეილის საავადმყოფოში, იმსხვერპლა საქ. კომ-პარტიის წევრი ამხ. ალექსანდრე კვარაცხელია, რომელიც პარტიის რიგებში იღებდა მონაწილეობას 1917 წლიდან.

სამეგრელოში აჯანყების დროს იყო აქტიური პარტიული მუშაკი (ზუგდიდის ორგანიზაციის) ა. წ. 4 მარტს, ერთი კვირის ავადმყოფობის შემდეგ მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა საქ. კომუნ. კავშირის წევრი ამხ. ბესარიონი გვიჩია, კავშირის განმამტკიცებული მუშაკი, ახალგაზრდა, რევოლიუციონური სულით გაჟღენთილი. (ფოთის ორგანიზაციიდან) ამხ. ალ. კვარაცხელია და ამხ. ბეს. გვიჩია იყვენ საქ. კომ-პარტიის ცენტრალური პარტიული სკოლის კურსანტები, მაგრამ სიკვდილმა არ დააცალა მათ პარტ-სკოლის დამთავრება, რომ გამხდარიყვნენ კვალიფიციური მუშაკები მშრომელთა ხელისუფლების განსამტკიცებლად.

მართალია, ძვირფასო ამხანაგებო, თქვენ სიკვდილმა გიმსხვერპლათ, არ დაგაცალათ ხანგრძლივი მუშაობა ჩვენი დიადი მიზნის განსახორციელებლად, მაგრამ თვით მიზანი, რომელსაც ემსახურებოდით, არ მომკვდარა, მის განხორციელებას უახლოვდებით დღითი-დღე.

თქვენი ხსოვნა კი არასოდეს არ ამოიშლება ჩვენი გულის ფიცრიდან.

თად. ტაბაღუა, ლავრ. ძიძიგური.

პარტიული ცხოვრება

საქ. კომ. პარტიის ტფილისის კომიტეტის სააღრიცხვო-სასტატისტიკო განყოფილება ოთხშაბათს, 7 მარტს, საღამოს სრულ 6 საათზე იწვევს

ქალაქის ყველა რაიკომების და ყოფილ მაზრის ორგანიზაციების სააღრიცხვო ნაწილების გამგეების თათბირს

საკითხის დიდ მნიშვნელობის გამო დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

დეპოს კომუჯრედში

2 მარტს, ერთიან პარტიულ დღეს შესდგა რკინის გზის დეპოსთან არსებულ დეპოს და ვაგონების პარკის კომუჯრედის საჯარო კრება, რომელსაც დაესწრო ბევრი უპარტიო მუშა-მოსამსახურენი.

დღის წესრიგში იყო საკითხი: 1) მოხსენება თბილისის და მისი მაზრის კომუნისტურ ორგანიზაციების კონფერენციის შედეგზე და 2) მოხსენება საერთაშორისო ქალთა დღესასწაულის შესახებ.

მოხსენება თბილისის პარტკონფერენციის შედეგების შესახებ, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. რუბენმა, კრებამ მოისმინა დიდი ყურადღებით და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიიღო ასეთი შინაარსის რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა ამხ. რუბენის მოხსენება საქართველოს კომუნისტურ პარტიის მორიგ ამოცანების შესახებ, დეპოს და ვაგონების პარკის კომუჯრედის წევრები უპარტიო მუშებთან ერთად მიესალმება და სიხარულით ხვდება მიწის და სასამართლოს რეფორმას და კომუნისტურ პარტიის სხვა ღონისძიებებს, რომელიც მიმართულია საბჭოთა ხელისუფლების გამაგრებისა და განმტკიცებისაკენ საქართველოში. ამასთანავე კრება მოუწოდებს კომუნისტებს უარი განაცხადონ მიწებზე, თუ ასეთები ვინმეს მოეპოვება სოფლებში და გადასცენ უღარიბეს გლეხებს.

კომუჯრედის კარები ღიაა დეპოს მუშებისათვის, რომლებიც რევოლიუციის განმავლობაში გაიმსჭვალენ კლასობრივ, პროლეტარულ თვით შეგნებით და მტკიცედ დგანან საბჭოთა ხელისუფლების და პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე.

შემდეგ კრებამ მოისმინა ამხ. შილდიაევის მოხსენება საერთაშორისო ქალთა დღესასწაულის შესახებ და მოუწოდა ყველას მხურვალე მონაწილეობა მიიღონ დღესასწაულში.

ეკონომიური ცხოვრება

ფასების დამწესებელი კომისიის კურსი.

6 მარტი.

ოქროს 10 მან.	5350 ათ. მ.
გირვ. სტერლ.	3460 „ „
დოლარი ეფექტივები	915 „ „
ოსმალ. ქაღ. ლირა	560 „ „
საბჭ. ფულის ნიშნები	18¹/₃ „ „

„ჩემოში“.

შავი ქვის ექსპორტი.

1 მარტს გავიდა ბათუმიდან მარსელში გემი „ხიპრონეოს ბოსფორუსი“. ამას წინად 29 თებერვალს გავიდა შტეტინში გემი „მარმარა“, რომელმაც წაიღო 2,000 ტონა ბალანი.

ორივე გემები დაიტვირთა საზ. „ჩემოს“ შავი ქვით.

იმავე დღეს 28 თებერვალს, ფოთიდან გავიდა ამერიკაში გემი „მანიტოვოკი“, რომელმაც წაიღო ჩილინგარიანის და კარუტოს მადანი 6.338 ტონა.

ამ ჟამად ფოთში იტვირთება გარსტონში (ინგლისი) გასაგზავნად გემი „ბრამია“—3.500 ტონა ჩვეულებრივი შავი-ქვა. ტვირთავს ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა საზოგადოება. იგივე ფირმა ტვირთავს ბათუმში გემს „ფრინეის“ -- 2,000 ტონა: ამ დღეებში მოელიან გემის „ბადიგის“ მოსვლას, რომელიც წაიღებს 7200 ტონა მადანს; „სიპრიას“, რომელიც წაიღებს 3600 ტ., „მონკსტავენს“—4900 ტ. და „ალტვას“.

ფოთში.

— საზ. „ჩემოს“ რწმუნებულათ ფოთში დაინიშნა ინჟინერი ი. ა. ყიფშიძე.

— საზ. „ჩემოს“ დირექციამ გადასწყვიტა შეიძინოს პატარა მოტორი ფოთში შავი ქვის სამტვრევის მექანიზაციისათვის. ეს მოტორი აამოძრავებს საზოგადოების მექანიკურ სახელოსნოს ფოთში. სამტვრევის და სახელოსნოსათვის აშენებენ განსაკუთრებულ შენობას.

მექანიკური დატვირთვა.

საზ. „ჩემომ“ გადასდო 300 ფუთი სტერლ. შავი ქვის გემებზე მექანიკური დატვირთვის საც ელად.

ბირჟის საქონლის განყოფილებაში.

6 მარტი.

მოთხოვნილება—რუსეთის წუმწუმა, ქერი, ემალის ჭურჭელი, ფანჯრის მინები, სოდა კაუსტიკური, გოგირდი, ტეხნიკური, ზეთი, გამხმარი და სველი მაწილები, ყუბანის ფქვილი 1 ხარისხისა, კაკლის ხეები და ფიცრები.

მიწოდება—ყუბანის ფქვილი ადგილობრივი ფქვილი, მედიკამენტები (დიდი რაოდენობა), სპეციფიკაციის მიხედვით. ერბო ვებრახის ექსტრაქტი. მზესუმზირას ზეთი რუს. ღერღილი ყვითელი. ბურღული სხვა და სხვა გვარი. ხე-ტყის მასალა სხვა და სხვა სიდიდის.

ტფილისის ბაზარზე.

6 მარტი.

ბირჟის საქონლის განყოფილების ცნობების თანახმად, ხორბლის და პურის პროდუქტების ფასები უცვლელია, შაქრის და შაქრის ფხვნილის ფასებმა ცოტაოდნათ აიწია (და 6 მარტს ტფილისში მოვიდა სხვა და სხვა მისამართებზე 27 ვაგონი შაქრის ფხვნილი).

უკრაინაში მიღებული ჩემი შთაბეჭდილებანი და ნააზრევი*)

იხ. გაზ. „კომუნისტ“-ი № 51

„პროლეტარულმა დიქტატურამ შე- ოო ჩვენში ტერორის რე- ჟიმი“.

ს მართალია. იცავდა რა თავს ტრ-რევოლიუციის შემოტევისაგან, საბჭოთა ხელის უფლებამ ისარგებლა არა ჩვეულებრივ რეპრესიულ ზომებით, სიკვდილით დასჯით, „ჩრეზვიჩაიკებით“, ტერორით.

მაგრამ აქ საჭიროა ერთი შესწორება: პრინციპიალურათ ეს ოქტომბრის რევოლიუციის ახალი გამოგონება არ იყო. პრინციპიალურათ, თეორიულათ, არა ჩვეულებრივ ზომების აუცილებლობა თებერვლის რევოლიუციამაც იცნო.

მე მახსოვს, 1917 წელს ივლისში ენტრ. აღმ. კომიტეტის სხდომაზე ემო სიტყვაში წერეთელმა სამარცხვინო სიჩუმის დროს, განაცხადა: ევოლიუციის გაზაფხულმა, სამწუხაროთ, განვლო. ჩვენ ვფიქრობდით, არ მოგვიხდებოდა ხელების შე- . ეს ოცნება ყოფილა...“ მეორე ამ სიტყვების საიდუმლოება ა. 11 ივლისს აღმ. კომიტეტმა, ის წინადადებით, შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: 1) „სახელმწიფო და რევოლიუცია განსაცდელშია. 2) დროებითი მთავრობა—რევოლიუციის გადარჩენის მთავრობათ ცხადდება. ამიში დისციპლინისა და ორგაზაციის აღსადგენათ, კონტრ-რევოლიუციის და ანარქიის ყოველგვარ ვლენებათა ასალაგმავათ, მას ეძლევა განუსაზღვრელი უფლებები“.

რეზოლიუცია წინადადებას აძლევდა მიღებულ ყოფილიყო არა ჩვეულებრივი ზომები ორივე ფრონტზე—როგორც კონტრ-რევოლიუციის, აგრეთვე ანარქიის წინააღმდეგაც, მაგრამ ჩვენ ვიცით, რით იყო გამოწვეული ეს რეზოლიუცია და ვის მიმართ ყენებდა ის დროებითმა მთავრობამ.

ეს რეზოლიუცია მიღებული იყო ფრონტზე ივნისის შეტევის ჩაშლის და პეტროგრადში ივლისის ების ჩაქრობის შემდეგ, როდესაც კორნილოვმა კერენსკის ფრონტზე და ზურგში სიკვდილით დასჯის აღდგენა მოსთხოვა. და დროებითი მთავრობამ, თუმცა გაუბედავათ, მაგრამ მაინც, თანახმად ც. ა. კომიტეტის რეზოლიუციისა, ნება დართო „ომის დროს სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ ზოგიერთ უმძიმეს ბოროტმოქმედებათათვის“ სიკვდილით დასჯა.

მაშ, რით განსხვავდება დროებითი მთავრობის ტერორისადმი მაშინდელი დამოკიდებულება, უფრო გვიან, საბჭოთა ხელისუფლების ამ მოვლენასთან დამოკიდებულებისაგან? პირველათ ყოვლისა მით, რომ დროებითი მთავრობამ გადასწყვიტა ტერორის გამოყენება უმიზნო იმპერიალისტურ ომით დაღლილ ჯარისკაცთა წინააღმდეგ ან კიდევ იმ რევოლიუციონერების მიმართ, რომლებიც შეგნებულათ და აქტიურათ იბრძოდენ ამ ომის წინააღმდეგ მაშინ, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ ამავე იარაღით პროლეტარულ რევოლიუციის მტრების წინააღმდეგ ისარგებლა.

მეორე განსხვავება კიდევ იმაშია, რომ დროებითმა მთავრობამ, მისი ორგანიული უძლურების გამო, ტერორს ხელი მიჰყო განსაკუთრებით თეორიაში (თუმცა და ფრონტზე კორნილოვი „თეორეტიულ“ ტერორით როდი კმაყოფილდებოდა), საბჭოთა ხელისუფლებამ კი თავისი მუქარა საქმეთ აქცია. იყო თუ არა აუცილებელი საბჭოთა ხელისუფლების ტერორი? შეეძლო თუ არა მას აეცილებინა სიკვდილის დასჯა სამოქალაქო ომის ზურგში.

როდესაც 1917 წ. კადეტებმა მოითხოვეს იმპერიალისტურ ომის გადასარჩენათ სიკვდილის დასჯის გამოყენება, ჩვენ, მენშევიკ ინტერნაციონალისტებმა, სასტიკათ გავილაშქრეთ ამ წინადადების წინააღმდეგ და, რასაკვირველია, სამართლიანათაც მოვიქეცით. უკრაინაში მე ხშირათ მაგონდებოდა ამის გამო პეტროგრადის სათათბიროში მილიუკოვის წინააღმდეგ ჩემი გამოსვლა. მე მივმართე მილიუკოვს შემდეგი სიტყვებით: „განა თქვენი კრიმინალისტები კისტიაკოვსკი-ფოინიცკები არ გვასწავლიდენ ჩვენ, რომ სიკვდილით დასჯა ბარბაროსობაა, რომელიც ამასთანავე მიზანს არ აღწევს? განა ისინი არ გვასწავლიდნენ, რომ ბოროტმოქმედთ აშინებს არა სიკვდილის სასჯელი, არამედ შეგნება, რომ მისი ბოროტმოქმედება და ბოლოს **აუცილებლათ** აღმოჩნდება და სასჯელი, თუმც არა სასიკვდილო, **აუცილებლათვე** მოხდება? და აი ეხლა, როდესაც ამას მოითხოვს თქვენი კლასობრივი ინტერესები, თქვენ, მოქალაქე მილიუკოვი, ყოფილი პაციფისტი უკუ აგდებთ თქვენს ჰუმანიურ კრიმინალურ თეორიას და მის დაცვას გვანდობთ ჩვენ, რევოლიუციონერებს, რომლებიც პაციფისტები არასდროს არ ვყოფილვართ“! როდესაც მე ამ სიტყვას უკრაინაში, სამოქალაქო ომის ქარცეცხლში მოვიგონებდი, მე ხელსახებათ ვგრძნობდი, თუ რაოდენ გულუბრყვილო-იდეალისტური იყო ჩემი საშინელი არგუმენტაცია. წონასწორ სახელმწიფო წესწყობილების პირობებში, როდესაც სახელმწიფო აპარატი რეგულიარულათ მოქმედობს და როდესაც ბოროტმომქმედს ათი შემთხვევიდან—ცხრა შემთხვევაში კანონიერი სასჯელი შეხვდება, სიკვდილით დასჯა, რასაკვირველია ბარბაროსობა, ზედმეტი, მიზანშეუწონელი სიმკაცრე არის. მაგრამ განა შეგვეძლო ჩვენ, რევოლიუციონერებს, დაგვეფიცა, რომ რევოლიუცია და კონტრ-რევოლიუციის ურთიერთშორის გამწვავებულ ბრძოლის პირობებში, როდესაც საპყრობილეებში ჯდომის წვალება ფითრდება თავისუფლებაზე მკაცრ განცდათა სახის წინ, როდესაც პოლიტიკური სიტუაცია დღითი დღე იცვლება, როდესაც ადამიანს, რომელიც ჩვენ დღეს დავატუსაღეთ, იმედი აქვს განთავისუფლდეს ერთი კვირის, თვის, ორი თვის შემდეგ და თვით ჩვენ დაგვატუსაღოს, გაგვისწორდეს, როდესაც სიკვდილის სასჯელზე უარის თქმა—მრავალ მძიმე და სახელმწიფოსათვის საშიშ ბოროტმოქმედებათა დაუსჯელობის აღიარებას უდრის, განა შეგვეძლო ჩვენ დაგვეფიცა, რომ ასეთ პირობებში სიკვდილით დასჯას არ მივმართავთ?

იალტუშკოვში მე ერთხელ მძიმე სცენის მოწმე გავხდი: მშვიდობიან მცხოვრებლებს კმაყოფილების ოხვრა აღმოხდათ, როდესაც „ჩეკისტმა“ მათ თვალის წინ ბანდის ერთ-ერთი, დაკითხვისაგან გამოქცეული, მონაწილე მოჰკლა; ამ ბანდამ წინა დღით სიცოცხლეს გამოასალმა ერთი სრულიათ უდანაშაულო ქალიშვილი. სიმკაცრემ კი არა, არამედ საზოგადოებრივ თავდაცვის ინსტიქტმა გამოიწვია მშვიდობიან ხალხის გულიდან შვების ოხვრა ბანდიტის დახვრეტის დროს...

პროლეტარიატს, რომელმაც დაიპყრო ქვეყნის ძალა-უფლება, თავზე დაემხვრა ჯოჯოხეთის ყველა ძალები, და მაშინ რევოლიუციის გადასარჩენათ აუცილებელი შეიქნა ორგანიზაციული ტერორის განხორციელება, მაგრამ შეიძლება თავდაცვის დროს საბჭოთა ხელისუფლებამ გადაჭარბებულათ გამოიყენა იგი? დიაღ, ალბათ ეგრეც იყო, მაგრამ საბჭოთა ხელის უფლების ტერორი გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე კონტრ-რევოლიუციის და ყოვლათ შეუდარებელი იმ ტერორთან, რომელსაც გამარჯვებული კონტრ-რევოლიუცია გააჩაღებდა. მაგრამ თუ ვიმსჯელებთ ორგანიზაციულ ტერორზე საზოგადოთ, იმ სპეციალურ სახის ეკონომიური ტერორის განყენებით, რომელიც დაკავშირებული იყო სასურსათო სისტემის დაცვასთან და რომელიც, მართალია, ხშირათ მიზანს სცილდებოდა და სცემდა წვრილ მომხმარებელსა და მწარმოებელს, რის შესახებ საუბარი ჩვენ შემდეგ—1921 წლამდე არსებულ ძველ ეკონომიურ პოლიტიკის გარჩევისას გვექნება,—უნდა ითქვას, რომ მისი სიჭარბე სავსებით პროლეტარიატის დანაშაულათ ვერ ჩაითვლება.

ჩვენი პროლეტარულ ხელისუფლების ორგანიზაციულ ტერორის ხასიათისთვის სამართლიანი მსჯავრის დასადებათ საჭიროა გავითვალისწინოთ ის ატმოსფერა, რომელშიაც ჩაიყარა მისი ფესვები. ამის შესახებ სწორი მსჯელობისათვის უნდა გვახსოვდეს ორი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება: პირველი ის, რომ ჩვენი რევოლიუცია სამი წლის იმპერიალისტურ ომის შედეგი იყო და მეორეც ის, რომ პროლეტარიატმა ჩვენში მოახდინა რევოლიუცია გლეხობასთან მჭიდრო დაკავშირებით და რომ გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებას ქალაქის მეშჩანობის და წვრილ ბურჟუაზიის მნიშვნელოვანი ელემენტი მიეკრა.

მე მახსოვს საუბარი, რომელიც მქონდა 1905 წელს რკინის გზაზე მოგზაურობის დროს ვიღაც ფრანგ მოგზაურთან: „საკვირველათ გულკეთილია თქვენი ხალხი!—მითხრა მან—ჩვენში, საფრანგეთში რომ მომხდარიყო რევოლიუცია, აქამდე სისხლის მდინარეები დაინთხეოდა-ო, ის ფრანგი რომ რუსეთში ჩამოსულიყო მაშინ, როდესაც იმპერიალისტურ ომის დროს ხალხის მიერ გამონაცად მრავალ ტანჯვისა და საშინელების შემდეგ, მეორე რევოლიუციამ იფეთქა, ის დარწმუნდებოდა, რომ „გულკეთილ“ ხალხის მოთმინებასაც აქვს საზღვარი და რომ მაშინ „გულკეთილი“ ხალხი მრისხანე ხალხათ იქცევა.

შემთხვევითი არ იყო ის, რომ სტიქიურ ტერორის პირველ მოქმედებებს ადგილი ჰქონდა არმიასა და ფლოტში და მიმართული იყო ოფიცერთა წინააღმდეგ, რომლებიც ხიშტის დისციპლინით აიძულებდენ ჯარისკაცთ ეომათ მათთვის უცხო და გაუგებარ მიზნებისათვის. ავღნიშნავ სხვათა შორის, რომ კორნილოველები, რომლებიც ოფიცერთა წინააღმდეგ ამ განრისხებას ხსნიდენ არა იმპერიალისტურ ომის ანტიხალხურ მიზნებით და ძველი ოფიცრობის არა კასტურ ხასიათით, არამედ რევოლიუციონურ აგიტაციით, ერთის მხრით, და „სამშობლოსათვის“ ბრძოლით დაღლილ ჯარისკაცთა სიმხდალით და ეგოიზმით, მხოლოთ ცილს წამებდენ ჯარისკაცთ: როდესაც დაიწყო მეორე ომი, სამოქალაქო, წითელ არმიის ჯარისკაცები, რასაკვირველია უფრო დაქანცულნი იყვნენ და კონტრ რევოლიუციონური აგიტაციაც არ აკლდა მათ, მაგრამ ჩამოგვითვალონ თავის ღვიძლ საქმისათვის ამ მებრძოლ ჯარისკაცთა ცხოვრებიდან წითელ მეთაურების წინააღმდეგ გალაშქრების მაგალითები! როდესაც რევოლიუცია სოციალურად გაღრმავდა, წარმოდგა მეორე ტალღა სტიქიურ ტერორისა, რომელიც მიმართული იყო პირველათ მემამულეების წინააღმდეგ,—სოფელში და შემდეგ ბურჟუაზიის წინააღმდეგ—ქალაქებში. აქაც იყო ექსცესსები. მაგრამ ის მომდინარეობდა საერთო წესით, არა პროლეტარიატისგან—იმ კლასისაგან, რომელმაც ხელთ აიღო დიქტატორული ძალა-უფლება, არამედ მისი წვრილ-ბურჟუაზიულ მოკავშირეებისაგან. მე ვამბობ—„საერთო წესით“, რადგან იმპერიალისტურ ომის დროს, ჩვენს მუშათა წრეში მოჰყვა მრავალი, მისთვის უცხო უარყოფითი, ელემენტი — სამხედრო ბეგრისაგან გაქცეულნი, — რადგან ეკონომიურ რღვევის დროს მუშათა წრეში თავი მოიყარა დეკლასსიურმა ელემენტებმა, რომლებიც ხანდისხან და, განსაკუთრებით, პურისათვის გამწვავებულ ბრძოლის ხანებში, ექსცესებს ახდენდენ. მაგრამ პროლეტარიატი, როგორც კლასი, ამ ექსცესებში დამნაშავე არ არის.

ამ მხრით ჩვენმა პროლეტარიატმა გაამართლა მუშათა კლასის ისტორიული წარსული. ჟორესმა საფრანგეთის დიდ რევოლიუციის თავის ისტორიაში აღნიშნა, რომ იმ დროის რევოლიუციონურ პარიზში სიმკაცრეს და აღვირ ახსნილობას მეშჩანური უბნები იჩენდენ და არა პროლეტარული განაპირა უბნები. ბერლინის მუშათა 1848 წლის მარტის აჯანყების დროს პროლეტარიატს ისე ეჭირა თავი, რომ ერთი თვის შემდეგ ბერლინის პოლიციის პრეზიდენტმა საზოგადოებას განუცხადა: „ხელოსანთა და მუშათა საქციელი სრულიად ღირსია საყოველთაო მადლობისა“. ცნობილია აგრეთვე, თუ როგორ დიდსულოვანებას, გადაჭარბებულ დიდსულოვანებას იჩენდა 1871 წელს, პარიზის კომუნის დროს, საფრანგეთის პროლეტარიატი. ასევე ეჭირა თავი რუსეთის პროლეტარიატს 1905 წელს. მისი საქციელი იმ დროს, 1904 წ., მჭერმეტყველად დაასურათა ტროცკიმ „ისკრა“-ში მოთავსებულ წერილში: „Две толпы“, რომელშიაც ის „პატრიოტულ“ მანიფესტანტების ხულიგნურ საქციელს რევოლიუციონურ მანიფესტანტების კეთილშობილი საქციელი შეადარა: „ნუ გეშინიათ, ნუ გეშინიათ!—ამშვიდებდა ბრბო შეშინებულ ოდესელ მცხოვრებლებს.—კიშინიოვი არ გეგონოთ; ჩვენ სულ სხვა რამ გვინდა, ჩვენ შორის არ არის არც ურია და არც რუსი, ჩვენ ყველანი მუშები ვართ...

— ჩვენ დუქნებს კი არ ვლეწავთ, თავისუფლებისთვის ვიბრძვით,—ამბობდენ ქალ. ტვერში ანტიპატრიოტულ მანიფესტაციის მონაწილეები“. ტროცკი, ამის გამო, შენიშნავს. „დიდსულოვანმა და კეთილშობილმა, როგორც ყოველი მასსა, რომელმაც თავის წევრთა შორის რევოლიუციონურ სოლიდარობის უხილავი ძაფი გაბა და თავისი კოლექტიური ძალა იგრძნო, მრავალ რიცხოვანმა ბრბომ არ იკადრა არავითარი ძალადობა—„ერთი რომ არის, ვაშლისთვის ხელი არ უხლიათ“—განცვიფრებულათ გაიძახის სავაჭრო ქუჩის მოქალაქე“. ოქტომბრის რევოლიუციის ხანაშიც ჩვენმა პროლეტარიატმა ხულიგნობა კი არა, არამედ დიდი რევოლიუციონური თავგანწირულება გამოიჩინა.

მაგრამ პროლეტარიატს შეეძლო გაემარჯვა რევოლიუციაში გლეხობასთან მჭიდრო კავშირის პირობით, გლეხობა კი რევოლიუციონურ ბრძოლის მწვავე პერიოდში იჩენს იმ ორმაგ სახიერობას, რომელიც შეეფერება მის წვრილ ბურჟუაზიულ სოციალურ ბუნებას. როდესაც გლეხები მემამულეების სახლებს სწვავდენ და არბევდენ, ეს იყო ბუნებრივი, სტიქიური პროტესტი, სტიქიური ამბოხება ჩაგრულ კლასისა საუკუნობით მისი მჩაგვრელთა წინააღმდეგ და ამ პროტესტის ფორმები იყო არა მარტო მათი შურის ძიების გამოხატულება, არამედ ერთგვარი გარანტია რესტავრაციის წინააღმდეგ. როდესაც მე პოდოლიის რამოდენიმე სოფელში ყოფნისას დავათვალიერე მემამულეთა მშვენიერ სასახლეების ნანგრევები, მე დავეკითხე გლეხებს: „რათ სწვავდით ამ შენობებს? რატომ თქვენ, პანების გადევნის შემდეგ, არ ისარგებლეთ მათი სახლებით თქვენი საზოგადოებრივ საჭიროებებისათვის“—„იმიტომ—მიპასუხეს გლეხებმა,—რომ ეს ფრინველები მეორეთ არ მოფრენილიყვენ ჩვენსკენ“.

ჩაგრულთა კლასის ამ განმანთავისუფლებელ აღტყინებისათვის და განსაკუთრებით ამ კლასის „კულაკურ“ ელემენტებისათვის მნიშვნელობა ქონდა კიდევ ერთ გარემოებას. როდესაც ისინი სოფელში სტიქიურათ იტაცებდენ მემამულეთა მიწებს და მემამულეთა სამეურნეო ინვენტარს, როდესაც ისინი ძველ არმიაში ყოფნის დროს მონაწილეობდენ ქალაქებში ბურჟუაზიის სტიქიურ ექსპროპრიაციაში, ისინი მით განირჩევოდენ პროლეტარიატისაგან, რომ ჩამორთმეულ ქონებას არა საზოგადოების, არამედ საკუთარ, პირად კუთვნილებათ სთვლიდნენ.

დაიწყეს დაყოფვა და ჰყოფდენ არა თანასწორათ—ყოველი მათგანი იტაცებდა იმდენს, რამდენიც კი შეეძლო და ამ სტიქიურ დაყოფა-განაწილებაში მოგებული რჩებოდნენ მხოლოდ „კულაკები“, აქ უკვე მოქმედობდა არა გამაერთიანებელი, არამედ წვრილ მესაკუთრის დამქსაქსველი ინსტინქტი, აქ სიხარბე გამოიხატებოდა და სადაც სიხარბეა, იქ სიმკაცრე და სისხლის წყურვილიც ჩნდება.

იგივე ითქმის ქალაქის მეშჩანობაზე, რომელიც აეტმასნა საბჭოთა ხელისუფლებას პროლეტარულ გამარჯვების შემდეგ და მასთან ერთად აქტიურათ მონაწილეობდა ბურჟუაზიის ექსპროპრიაციაში.

რათა ნათელ ვჰყო ოქტომბრის რევოლიუციონურ მოძრაობის ამ ორი ხაზის, ორი მიმდინარეობის განსხვავება, მოვიყვან ერთი-ორ ადგილს „Известия Нар. Ком.-та Продовольствия“-ში მოთავსებულ 1918 წლის კატასტროფიულ სასურსათო მდგომარეობის აღწერიდან:

„ეს არა თუ მარტო გალატაკებაა—ეს სასიკვდილო აგონიის სურათებია. პანიკურათ განწყობილი ხალხი პანიკურათვე მოქმედობს. გამარტივებულ პსიქიკას გამარტივებულივე მოქმედება ესაბამება და ეს მოქმედებები მხოლოთ ერთში ისახება—„პოგრომში“. არბევენ სასურსათო საწყობებს, იტაცებენ გემებსა და ბარჟებს, არბევენ საბჭოებს და სასურსათო ორგანოებს, ელეტენ და ჰკლავენ კომისრებს, ხსნიან ვაგონებს და ძარცვავენ მატარებლებს. მაგრამ შესანიშნავია აქ ერთი რამ: **მუშები სამუშაო დაზგასთან დგანან და გმირულის მოთმინებით უხმოთ მუშაობენ, ხანამ ღონე მიხდილი არ ეცემიან; შემდეგს წუთში ისინი ადგენენ „რაზმებს პურისათვის“. პროვინციალურ ყრილობაზე გამოაქვთ რეზოლიუციები საბჭოთა ხელისუფლებისათვის დახმარების გაწევის შესახებ და მშიერ ადგილებში კრიზისის შესამსუბუქებლათ სასწრაფო ზომებს იღებენ. ყოველივე ეს მხოლოთ ერთის მხრით ხდება. მეორეს მხრით კი—ხალხის მეორე ნაწილი ამავე დროს ღირსეულ წინამძღვრებითურთ სათავეში არბევენ და ანგრევენ დაუსრულებლათ ისედაც დაქცეულ ქვეყანას.** ძლიერია რუსეთის სინამდვილეში სიბნელე და უგუნურება. ამის ნათელი მაგალითია სოფლის „კულაკობა“ და ის როლი, რომელსაც ხალხი ხშირათ ავალებს მას. „კულაკობა“ თავის

*) გაგრძელება 2 ნაწილის: „რევოლიუციონური დიქტატურა თუ საპარლამენტო დემოკრატია“.

მუშათა ცხოვრება

იურიდიული დახმარება

ამხ. მუშებს.

კითხვა: რამდენ წლამდე შეუძლიან მშრომლებს იქონიონ უფლება თავიანთ შვილებზე?

პასუხი: მშობლიური უფლებები ეძლევათ მშობლებს შვილებზედ—მამრობითი სქესისა—17 წლამდე და მდედრობითი სქესისა—15 წლამდე. ყოველ შემთხვევაში კი ამ უფლებების განხორციელება მშობლების მიერ უნდა ხდებოდეს ურთიერთ შორის შეთანხმებით.

კითხვა: იმ შემთხვევაში თუ ვერა ხერხდება შეთანხმება ამ უფლებების განსახორციელებლად მშობლების მიერ, რა წესით უნდა გადასწყდეს ეს დავა?

პასუხი: ეს დავა უნდა გადასწყდეს მშობლების თანდასწრებით სასამართლოს წესით.

კითხვა: თუ მშობლები არა სცხოვრობენ ერთად, ვისთან უნდა იცხოვრონ მცირე წლოვანმა შვილებმა?

პასუხი: იმ შემთხვევაში, როდესაც მეუღლენი სცხოვრობენ ცალ-ცალკე, კითხვა იმაზედ, თუ ვისთან უნდა იცხოვრონ მცირეწლოვანმა შვილებმა, უნდა გადასწყდეს მშობლების მიერ ურთიერთ შორის შეთანხმებით. და თუ შეთანხმება სხვა და სხვა მიზეზების გამო ვერ მოხერხდება, მაშინ დავა სწყდება ძიებითი წესით ადგილობრივი სასამართლოს მიერ.

კითხვა: რითი ხელმძღვანელობს სახალხო სასამართლო, როდესაც გამოაქვს თავისი დადგენილება იმის შესახებ, თუ ვისთან უნდა იცხოვრონ მცირე წლოვანმა შვილებმა?

პასუხი: სახალხო სასამართლო აფასებს ყველა მოსაზრებას და საბუთებს, რომელიც წარმოადგინეს მხარეებმა, იღებს მხედველობაში მოდავე მეუღლეთა ზნეობრივ მხარეებს და ადგენს გარდაწყვეტილებას მხოლოდ მცირე წლოვანთა ინტერესების დაცვის მოსაზრებით და მიზნით.

ს. პ. კ. ს. იურიდიული ბიურო მოუწოდებს ყოველ მუშა-მოსამსახურეს, კავშირის წევრს, და იწვევს მას იურიდიულ ბიუროში, სადაც შეუძლია მას მხოლოდ უსასყიდლოთ მიიღოს პასუხი და რჩევა ყოველივე წმინდა იურიდიული ხასიათის საკითხებზე, როგორც არის მემკვიდრეობის და ქონებრივი უფლება, მიწა-მამულების მფლობელობის შესახებ და სხვა. აგრეთვე ბიურო იძლევა პასუხს და რჩევას ყოველივე პროფესიონალურ კანონმდებლობის საკითხებზედ.

ს. პ. კ. ს. იურიდიული ბიურო.

დაძმობილება

ამა წლის 24 თებერვალმა თბილისის დეპოს და მთავარ სახელოსნოების მუშათა მეხსიერებაში წარუხოცელი კვალი უნდა დასტოვოს. აღნიშნულ დღეს მოხდა დაძმობილება მუშების და წითელ არმიელების. ყველამ იცის, რომ რევოლიუციის სადარაჯოზე მუშებთან ერთად მტკიცედ დგანან წითელ არმიელები, რომელნიც მშრომელთა მასების წრეებიდან არიან გამოსულნი. აქედან ცხადია მჭიდრო კავშირი მუშებსა და წითელ არმიელთ შორის.

და აკი ეს კავშირი სათანადოთ აღინიშნა 24 თებერვალს მთავარი სახელოსნოების წინ გამართულ სადილზე, სადაც ზემოხსენებულ წარმოებათა მუშები და წითელ არმიელები ერთმანეთს შეხვდენ.

შეხვედრას საზეიმო ხასიათი მიეცა. უკრავდა ზურნა. სუფრაზე საერთოდ აღინიშნა, რომ მტკიცე, შეურყეველი კავშირი მუშებსა და წითელ არმიელთ შორის იქნება საუკეთესო თავდები საბჭოთა ხელისუფლების მტრების დამარცხების და რევოლიუციის გამარჯვების საქმეში.

დეპოს მუშა ზ. სარდლიშვილი.

დროებითი მუშა-მოსამსახურეთა სამსახურში მიღებისა და მათი დაზღვევის წესი.

ამიერ-კავკ. რკ. გზებზე ბრძანების სახით გამოცხადებულია ინსტრუქცია დროებითი მუშა-მოსამსახურეთა შემოწმებისა და მათი სოციალური დაზღვევის წესის შესახებ.

ინსტრუქციის თანახმად, დაზღვევა ვრცელდება ყველა დროებით მუშა-მოსამსახურეებზე, გარდა იმ მუშა-მოსამსახურეთა, რომელნიც სასწრაფო სამუშაოზე გაწვეული არიან მობილიზაციის წესით, სტიქიურ მოვლენით დანგრეულის აღსადგენად.

მუშა-რკინისგზელი.

ძირს ჭლექი, გაუმარჯოს ჯანმრთელობას.

ა | კ. რკ. გზების გამგეობამ ამ დღეებში თავის სხდომაზე დაადგინა მიეცეს საორგანიზაციო ბიუროს სამზადისისათვის ტუბერკულიოზის სამდღიურის ჩასატარებლად 1000 მან. ოქროთი.

ა | კ. რკ. გზ. „სამედიკო სან-შრომის“ ც. კ. რწმუნებულ ამხ. მიხაილოვისაგან მიღებულია შეწირულების სახით ტუბერკულიოზის სამდღიურის წინასწარ ხარჯების დასაფარავად 20 მილ. მან. ამ. კავკ. ბონებით.

ა | კ. რკ. გზ. ჯანმრთელობის განყოფილების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ, ტუბერკულიოზზე მოხსენების მოსმენის შემდეგ, დაადგინა გადარიცხოს მარტის თვის თავისი ნახევარი დღის ხელფასი ტუბერკულიოზის წინააღმდეგ საბრძოლველად ა | კ. რკ. გზებზე.

ინფ. გოშერი.

პროფკავშირებში.

1) სარჩევი ფაბკომებისათვის.

ს. პ. კ. ს. სეკრეტარიატმა დაადგინა, რათა ახლო მომავალში გამოცემულ იქნას ცნობარი („справочник“) რომელიც უნდა შეიცავდეს სხვადასხვა გვარ დებულებებს, ცირკულიარებს და დადგენილებებს ფაბკომების, ქარხკომების, ადგილკომების და კულტიაჩეიკების სახელმძღვანელოდ მათ მუშაობაში სხვა და სხვაგვარ დარგში.

მასთან სეკრეტარიატს აქვს მიზნად დასახული ამ საშუალებით გაავრცელოს მუშა-მოსამსახურეთა ხელმძღვანელ ორგანოებში შრომის დაცვის და დისციპლინის კანონების ცოდნა და მათი რიგიანად სარგებლობის გამოცდილება.

ამიტომ ამხ. ბახუტოვს დაევალა, რათა მან დაწვრილებით გააცნოს სეკრეტარიატის წევრები იმ მასალებს, რომელიც უნდა იქნას მოთავსებული აღნიშნულ ცნობარში. გამოცემის ტეხნიკური მხარის მოწესრიგება დაეკისრაო ამხ. ამხ. ბახუტოვს და ყურულაშვილს.

2) რკინის გზელთა პროფკავშირი, შეფი გაზ. „წითელი მხედრის“.

შეფთა ბიუროს დადგენილებით ამიერ-კავკასიის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი დანიშნულია გაზეთ „წითელ მხედრის“ შეფად.

დახმარება რურის მუშებს.

ს. რ. პ. კ. ც. ს. ამიერ-კავკ. ბიუროს დადგენილებით ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა პროფკავშირებმა რურის მუშების დასახმარებლად კავშირის თანხიდან გადასდო 1000 მან. ოქროთი, რომელიც უკვე გადაეგზავნა რკინისგზელთა ცენტრალურ კომიტეტს დანიშნულებისამებრ გადასაცემად.

ქრონიკა

სახალხო კომისარიატებში.

— **მალარიის წინააღმდეგ საბრძოლველად.** ვინაიდან უკანასკნელ ხანებში თითქმის მთელ საქართველოში მეტად გავრცელდა მალარია (ციებ-ცხელება) და თანდათან საშიშარ ხასიათს ღებულობს რესპუბლიკის მოსახლეობისათვის, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა წინადადებით მიმართა სახალხო კომისართა საბჭოს, რათა მალარიასთან საბრძოლველად დროებით შემოღებულ იქნას გადასახადი ამ სანიტარულ გადასახადით დაიბეგრებიან შემოსავლის და სარეწავი გადასახადების გადამხდელები.

— **იურიდიული კურსები მუშებისათვის.** იურიდიულ კურსების, პროგრამაში, რომელიც არსდება ტფილისში, შევა შემდეგი საგნები: სამართლის საზოგადო ისტორია, სამოქალაქო სამართლის ისტორია, სალერბო წესდება და სისხლის სამართლის კანონი.

საგარეო ვაჭრობის კომისარიატში.

— **შუამდგომლობა** ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა ამიერ-კავკასიის ფედ. რესპუბლიკების კომისართა საბჭოს წინაშე, რათა ნება დართოს მოხსნილ იქნას სავალდებულო სააქციზო გადასახადი სპარსეთში გასაგზავნ შაქარზე.

ქალაქის ალმასკომში

— **მილიციის თანამშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება.** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა მილიციის თანამშრომელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დაადგინა: წინადადება მიეცეს სამმართველოს განყოფილებას შეიმუშაოს გეგმა თუ რა სახით უნდა მოხდეს მილიციის თანამშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება და სათანადო დასკვნებით წარმოუდგინოს პრეზიდიუმს გასახილველად.

— **დახმარება.** ალმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით ამიერ-კავკასიის პროლეტკულტს ალმასკომის სალაროდან მიეცა დახმარების სახით 50 მილიონი მან. ამავე მიზნისათვის დაევალა განათლების განყოფილებას თავის ხარჯთაღრიცხვიდან გაიღოს 25 მილ. მან.

— **წესდების დამტკიცება.** პრეზიდიუმმა ამავე სხდომაზე დაადგინა დაევალოს მცირე პრეზიდიუმს ჯანმრთელობის განყოფილებასთან ერთად განიხილოს და დაამტკიცოს ქალაქის მესამე საავადმყოფოსთან არსებული სახ. უნივერსიტეტის კანისა და ვენერიული კლინიკის წესდება.

— **არქივის გადაცემის შესახებ.** პრეზიდიუმმა განიხილა ქალაქის არქივის გამგის მოხსენება რესპუბლიკის საარქივო ცენტ. სამმართველოსათვის ქალაქის არქივის გადაცემის შესახებ და დაადგინა: ვინაიდან უკანასკნელი წლების საქმეები აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ალმასკომისათვის და ცენტრალურ საარქივო მმართველობისათვის მის გადაცემის შემდეგ ძნელი იქნება ასეთებით სარგებლობა, 1910 წლის აქეთ საქმეები დატოვებული იქნას ქალაქის არქივში, დანარჩენი კი გადაეცეს ცენტრ. საარქივო სამმართველოს.

— **სასტუმრო „სასახლის ნომრების“ იჯარით გაცემა.** პრეზიდიუმმა საქ. საგანგებო კომისიის მომართვის გამო, სასტუმრო „სასახლის ნომრების“ იჯარით გადაცემის შესახებ, დაადგინა: დაევალოს კომუნალურ განყოფილებას გაგზავნოს ტეხნიკური კომისია ტროცკის ქუჩაზე მდებარე № 9 და 10 სახლების დასათვალიერებლად, რომელიც უჭირავს საგანგებო კომისიის თანამშრომლებს და თუ შესაძლებელი იქნება შეკეთებული იქნეს აღნიშნული სახლები ალმასკომის ხარჯზე იმ პირობით, რომ საგანგებო კომისია ხელს აიღებს „სასახლის ნომრების“ იჯარაზე, ხოლო საქმის გამორკვევამდე აღნიშნულ სასტუმროს იჯარით გაცემის საკითხი ღიათ დარჩეს.

— **უპატრონო ავადმყოფთა თავშესაფარი.** უბინაო და უპატრონო ავადმყოფთა თავშესაფარის გახსნის საკითხი გადაეცა სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატს შუამდგომლობით: ყურადღება მიაქციოს ამ საკითხს და გახსნას პირველ რიგში უპატრონო ავადმყოფთა თავშესაფარი, რის შესახებ ალმასკომი გაიღებს საგრძნობ თანხას.

— **აგრარული რეფორმის გატარება.** ალმასკომის პრეზიდიუმმა 200 მილიონი მან. გადასდო ქალაქის საადგილ-მამულო განყ. განკარგულებაში მაზრაში აგრარული რეფორმის ჩასატარებლათ.

— **დარაბების შესახებ.** პრეზიდიუმმა მთლიან მუშათა კოოპერატივის ხელში მყოფ დარაბების შესახებ დაადგინა: თავისუფლების მოედანზე მთ მუშათა კოოპერატივს ჩამოერთვას დარაბა, დანარჩენი 15 დარაბის ქირა განისაზღვროს 1250 მან. ოქროთი თვეში.

განათლების კომისარიატში.

— **თეატრი მოწაფეებისათვის.** სახ. განათლების კომისარიატის სოც. აღზრდის მთავარ მმართველობასთან დაარსდა ქართული დრამატიული სექცია, რომლის მიზანია კვირაში ერთხელ მოაწყოს საბავშვო წარმოდგენები. პირველ რიგში განზრახულია დადგას აღმზრდელობითი მნიშვნელობის პიესები.

ა. ქ. შრომის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში.

— **ამნისტიის შესახებ.** სრ. საქართველოს ცენტრალურ ალმასკომის მიერ გამოცემული ამნისტია, წითელი ჯარის 5 წლის და საქართველოს გასაბჭოების 2 წლის თავის ალსანიშნავად, რომელიც ეხება აგრეთვე შრომის დაცვის კანონის დამრღვეველთაც და ეს კი აფერხებს პროფკავშირების და შრომის დაცვის განყოფილების მუშაობას, კოლეგიამ დაადგინა ხელმეორედ სთხოვოს სრ. საქ. ცენტრალურ ალმასკომს ამნისტიის მე-14 მუხლი არ გავრცელდეს შრომის დაცვის კანონების დამრღვევლებზე.

— **„25 ოქტომბრის სახელობის ასანთის ქარხანაში“.** „25 ოქტომბრის სახელობის ასანთის ქარხანაში“ მომუშავეთა მინიმალურ ხელფასის ჯილდო რჩება საქონლის 10 მან. რომელიც ძალაში შედის 1-ლ იანვრიდან 1923 წლ.

— **ქსნის აგურ-ქარხანა.** კოლეგიამ წინადადება მისცა შრომის კანონების დაცვის განყოფილებას მოხსნილ იქნან ქსნის აგურის-ქარხანაში სამუშაოდან მცირე-წლოვანი მომუშავენი, აგრეთვე გაუმჯობესებული იქნეს შრომის პირობები მუშების და დაჩქარებით იქნეს ალნიშნული ქარხანა დათვალიერებული აღნიშნული მიზნით.

— **ახალი სახლების აგება ტყიბულის მაღაროების მუშებისათვის.** ტყიბულის შრომის ინსპექციის მომართვის თანახმად, წინადადება მიეცა შრომის დაცვის განყოფილებას, სამთომადნო კავშირთან და საქ. პროფსაბჭოს მუშათა მდგომარეობის ქვე-განყოფილებასთან ერთად განიხილოს საკითხი ტყიბულის მაღაროების მუშებისათვის ახალი ბინების აგების შესახებ და შესაფერი დასკვნები წარმოუდგინოს კოლეგიას.

სხვა და სხვა.

— **ცეკავშირში.** ამიერკავკასიის კოოპერატივთა კავშირს გადაეცა ბორჯომის მინერალური წყლები მონოპოლიის წესით ცეკავშირი ამ დღეებში აგზავნის რუსეთის ქალაქებში: მოსკოვში, როსტოვში, კიევში და პეტროგრადში 14 ვაგონ წყალს.

— **ბათომის განტვირთვა ბოროტმოქმედებისაგან.** ბათომის გამწმენდ კომისიამ დაასრულა მუშაობა. დაპატიმრებული იქნა 300 სხვადასხვა ბოროტმომქმედი, რომლებიც თავმოყრილნი იქნენ ყაზარმაში მათი ქალაქიდან გადასახლებამდის, რის შესახებ მიღებულია ზომები.

— **ნავთის გატანა ანატოლიაში.** 2 მარტს ბათომის ნავთსადგურიდან გატანილ იქნა ანატოლიაში 35,000 ნავთი ბიტონებით.

— **ძირულის ტეხნიკუმისათვის.** ძირულის სამთომადნო რაიონის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა სადაც ჯერ არს, ძირულიდან გატანილ მადანზე დაწესებული იქნეს საფუთო გადასახადი, რომლის შემოსავალი მოხმარდება ძირულაში განზრახულ ტეხნიკუმის შენობის აგებას.

— **„ჩემოს“ შუამდგომლობა.** „ჩემოს“ დირექციამ აღძრა შუამდგომლობა სამთომადნო კავშირში ჭიათურის ტვირთ-მზიდავების ადგილკომისათვის საჭირო ნივთების მიცემის შესახებ, რაც დაკმაყოფილებული იქნა.

— **ტანისამოსი ტყიბულის მუშებისათვის.** სამთო-მადნო კავშირმა წინადადება მისცა ტყიბულის შრომის მრეწველობის გამგეობას, რათა დაუყონებლივ შეიძინოს მუშებისათვის სპეციალური ტანისამოსი.

პროვინციაში

ხარაგოულის რაიონი

5 თებერვალს ხარაგოულის პარტორგანიზაციამ აირჩია საქართველოს საბჭოების ორი წლის თავის და წითელ არმიის არსებობის ხუთი წლის თავის აღსანიშნავი დღესასწაულის მომწყობი კომისია. არჩევის დღიდანვე ხსენებული კომისია შეუდგა სამზადისს. პირველ ყოვლისა კომისიამ იერიში მიიტანა დაბა ხარაგაულში არსებულ ეგრედ-წოდებულ „რომანოზ მღვდლის“ ეკლესიაზე (ზემოხსენებული ეკლესია შეადგენდა კერძო საკუთრებას აღნიშნული მღვდლისას), რომლიდანაც გამოყრილი იქნა დაჟანგული და დამტვერიანებული ხატები, რომლებიც მეპატრონის მიერ შენახული იქნა თავლაში; გუმბათზე დაჟანგული ჯვრების მაგივრად პირპირი დაიწყო წითელმა დროშამ და გადაეცა ახ. კომკავშირს. მომავლისთვის იქ უნდა მოეწყოს კლუბი.

ამასთან აღსანიშნავია ერთი რამ: რომ კიდევ უკანასკნელად მოეტყუებიათ ხალხი და დაერწმუნებიათ ეკლესიისა და ხატების ძლიერებაში, სამღვდელოების შავ ძალებს „უწმინდესი“ ტრაპეზის ერთ სტოლის უჯრაში მოეწყოთ ბომბების კაფსულები და სხვა ასაფეთქებელი მასალები, რითაც სურდათ აეფეთქებიათ კომუნისტები და დაერწმუნებიათ ხალხი თუ როგორი სიკვდილით დასჯა მიანიჭა ღმერთმა კომუნისტებსო, რომლებიც შეეხენ ეკლესიებს და ხატებს. მაგრამ არ გასჭრა მათმა ოინებმა და კომისია უვნებლად გადარჩა. შემდეგ ჯერი მიდგა ძეგლზე. დასაფლავებული იყო ზემოხსენებულ ეკლესიის პატრონი, მღვდელი რომანოზ დეკანოსიძე; ძეგლიდან გამოღებულ იქნა მღვდლის ნეშთი და დასაფლავებული სხვა ადგილას. იქნა მონგრეული ძეგლის თავი, გამზადილი ბიუსტის დასადგმელად. 24 თებერვალს ხსენებულ ძეგლზე იქნა დადგმული ამხ. ლენინის ბიუსტი და დაფარული წითელი დროშით. ძეგლის წინ იქნა მოწყობილი ტრიბუნა ორატორებისთვის.

გათენდა 25 თებერვალი. ხალხმა დილიდანვე იწყო დენა საზეიმო მიტინგისთვის დანიშნულ ადგილას; 12 საათზე უკვე გაჭედილი იყო პარტკომის ეზო ხალხით, რომელიც მოუთმენლად მოელოდა მიტინგის გახსნას; ნაშუადღევის 2 საათზე სარაიონო მიტინგი გახსნა ხარაგოულის რაიინსტრუქტორმა ამხ. ქ. ფუტკარაძემ. ამხ. ლენინის ბიუსტის დადგმის შესახებ სიტყვა სთქვა ამხ. ს. ბოგველაძემ. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა შორ. მაზრის პარტკომის წევრმა ამხ. გ. შელიამ და დაწვრილებით გააცნო საზოგადოებას დღესასწაულის მნიშვნელობა. შემდეგ ილაპარაკეს ამხ. ი. ფოფხაძემ და ვ. შარიქაძემ.

მოხსენებების შემდეგ იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენებები საბჭოთა ხელისუფლების ორი წლის არსებობის შესახებ საქართველოში და გავითვალისწინეთ რა მენშევიკურ პარტიის მოღალატური პოლიტიკა ქართველ მუშებისა და გლეხებისადმი, ჩვენ ხარაგოულის რაიონის მუშები და გლეხები ვუცხადებთ ზიზღს მენშევიკურ პარტიას და სულითა და გულით ვუსურვებთ გამარჯვებას საბჭოთა ხელისუფლებას“.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს კომპარტიას!

გაუმარჯოს ძლევა-მოსილ წითელ არმიას!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს ამხ. ლენინს!

მიტინგი დამთავრდა საღამოს 5 საათზე და ხალხი ფრიად ნასიამოვნებ. დაიშალა. საღამოს ადგილობრივ თეატრში დადგმული იქნა უფასო წარმოდგენა.

დღესასწაულის მომწყობი კომისია.

იდეოლოგებით ასრულებენ თავის საქმეს—ნგრევის საქმეს. მშიერ გუბერნიებში პურით სპეკულიაციას ეწევიან და თავისუფალ ვაჭრობაზე ყვირიან—მოსავლიან გუბერნიებში კი საშინელ ბოროტებას ჩადიან—ათასი ფუთობით სწვავენ პურს არაყის გამოსახდელათ.

ოქტომბრის რევოლიუციას სათავეში პროლეტარიატი უდგა, მაგრამ რაოდენობით მისი წვრილ ბურჟუაზიული მოკავშირეები მთავარ რევოლიუციონურ მასსას შეადგენდა და სწორეთ ამ მასსამ შექმნა რევოლიუციის გავარვარებული ატმოსფერა.

ასეთი იყო ის პირობები, რომლებშიაც აურაცხელ მტრებით გარს შემორტყმულმა და მათთან ბრძოლაში სისხლ-დაწურულმა პროლეტარიატმა, ოქტომბრის რევოლიუციიდან რვა, ათი თვის შემდეგ ორგანიზაციულ ტერორს მიმართა, როგორც რევოლიუციის დასაცავ იარაღს.

განა წარმოსადგენი იყო სამოქალაქო ომის წარსულ პერიოდის ასეთ პირობებში ორგანიზაციულ ტერორის დაჭერა სასტიკათ განსაზღვრულ „რევოლიუციონურ კანონიერების“ ფარგლებში?

რა უნდა ექნა ხელისუფლებას ამ პირობებში? თავის „სისპეტაკის“ დასაცავათ რევოლიუციის ცეცხლი ჩაექრო, რათა აქვე, ამავე გარემოებაში კონტრ-რევოლიუციის ცეცხლი გაეჩაღებინა?

ტერორი საშინელი იარაღია—ვინ დავობს. მაგრამ მოიგონონ იმ სუსტ ნერვიან სოციალისტებმა, რომლებიც ამ იარაღის გამოყენების გამო ზნეობრივ აღშფოთებას გამოსთქვამენ პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ, იაკობინელთა ტერორისადმი მე-2 ინტერნაციონალის ცხოვრებაში ჰუმანიზმის მოციქულის—ჟან ჟორესის დამოკიდებულება; ვინ იყო საფრანგეთის რევოლიუციაში მისი საყვარელი გმირი? დანტონი! სწორეთ ის დანტონი, რომელმაც 1893 წლის მარტში პირველმა მისცა წინადადება კონვენტს დამდგარიყო ორგანიზაციულ ტერორის გზაზე და შექმნა რევოლიუციონური ტრიბუნალი და რომელმაც ამ წინადადებას ცნობილი დასაბუთება მისცა. „თავისუფლების მტრებმა აიმაღლეს თავი... მათ ჰგონიათ, რომ უმრავლესობას წარმოადგენენ. მაშ გამოსტაცეთ ისინი ხალხის სამსჯავროს ხელიდან. ამას თქვენ ჰუმანობა გიკარნახებთ“.

კიდევ ერთი ბრალდება პროლეტარულ დიქტატურის მიმართ: „მან გააუქმა სიტყვის და პრესის თავისუფლება ყველა პარტიებისათვის, გარდა კომუნისტურისა“.

ეს მართალიც არის, მართალი იმდენათ, რამდენათაც ის, რომ პრესის თავისუფლება—დიადი ღირებულებაა, რომლის შესაქმნათ უბრალოთ არ სწარმოებდა საუკუნოებრივი ბრძოლა. მაგრამ ჩვენ, სოციალისტებს, გვაქვს ღირებულება გაცილებით უფრო მაღალ ხარისხისა, ვიდრე პრესის თავისუფლება.

ეს არის თავისუფლება ერთი ადამიანის მეორეს მიერ ექსპლოატაციისაგან. და როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ დადგა პერიოდი, როდესაც პრესის თავისუფლება—კაპიტალისტურ მონობისაგან მუშათა კლასის განთავისუფლების ამოცანას წინ აღუდგება?

სწორეთ ასეთია ამ ჟამათ საქმის ვითარება ჩვენში იმ მომენტიდანვე, რაც პროლეტარიატმა ხელთ აიღო ძალაუფლება, ის ორ ცეცხლს შუა ჩავარდა: ერთის მხრით—მრავალ ფრონტებზე კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიის შემოტევა, მეორეს მხრით კი—ზურგში, გლეხურ მასსების მუდამ ცვალებადი და მერყევი განწყობილება.

რა რიგ სწრაფათ იცვლებოდა გლეხობის სულიერი განწყობილება, სიტუაციის ცვალებადობის მიხედვით, ამაში მე მრავალი შემთხვევა მქონდა დავრწმუნებულიყავ უკრაინაში ყოფნის დროს.

როდესაც პეტლიურას ჯარმა, ჰეტმან სკოროპადსკის ჩამოგდების შემდეგ, კიევი დაიპყრო, დირექტორიასთან ახლო მდგომი უკრაინელი სოციალ-დემოკრატები ამბობდენ, რომ დირექტორია, რომელიც უკრაინის დამოუკიდებლობისათვის იბრძვის, იძულებულია შინაგან პოლიტიკის სფეროში ბოლშევიკურ პლატფორმას დაადგეს, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში არ გაივლის ერთი თვე და გლეხურ მასსებში სწრაფათ გაზრდილი ბოლშევიზმის ტალღა მიწასთან გაასწორებს მას. კიევიდან პოდოლიაში დაბრუნების შემდეგ მე დავრწმუნდი, რომ ეს მართალია. აქ გლეხები ერთხმათ გაიძახოდენ:

ჩვენ ყველა ბოლშევიკები ვართ!

მაგრამ შემოიღო თუ არა საბჭოთა ხელისუფლებამ სასურსათო განაწილება და აკრძალა რა პურით თავისუფალი ვაჭრობა, „კულაკების“ მიერ წაქეზებულმა გლეხობამ დაიბღავლა. „Не треба нам коммунии!“—და მათი უმეტესი ნაწილი პეტლიურელებათ გადაიქცა. ხოლო როდესაც პოლონელი პანები დაბრუნდენ, მათ ხელახლა მარცხნივ. ბოლშევიკებისაკენ გადაიხარეს. როდესაც კი წითელ კავალერიის ნაწილები გაჩნდა, რომლებიც ცხენებისათვის ქერის ჩამორთმევას შეუდგა, ისინი ისევ შორდენ ბოლშევიკებს, ახალგაზრდობა ისევ ტყისკენ ბანდებათ გაიშურა. როდესაც სოფლებს ბანდიტებისაგან საშველი არ მიეკა, გლეხურმა მასამ საბჭოთა ხელისუფლებას განმტკიცების იმედით და თანაგრძნობით მოეპყრა. და ასე, და ამგვარათ, ასე ნერვიულათ მერყეობდა გლეხურ მასების სულიერი განწყობილება და მათ საქმიელზე დამოკიდებული იყო რევოლიუციის ბედი ბუნებრივია, რომ გლეხის სულის დასაპყრობათ ურთიერთ შორის იბრძოდა რევოლიუციონური და კონტრ-რევოლიუციონური ბანაკი.

ერთის მხრივ, ერთ ბანაკში კომუნისტური პარტია იმყოფებოდა, რომლის მცირე ინტელიგენტური ნაწილი შუაზე სკდებოდა, რათა სახელმწიფო, სამეურნეო და სამხედრო აპარატის ყველა დანაკლისი შეევსო, ხოლო მეორე ბანაკს შეადგენდა წვრილ ბურჟუაზიულ ინტელიგენციის თითქმის მთელი მასსა, რომელიც ოფიციალურათ უპარტიო იყო, სინამდვილეში კი ან აქტიურათ ისწრაფოდა ან პასიურათ, როგორც რაიმე აუცილებელს, მოელოდა ამა თუ იმ სახით ოქტომბრის რევოლიუციის ლიკვიდაციას. რა შეიძლო მიეცა გლეხობისათვის პირველ ბანაკს. **მხოლოდ და მხოლოდ თავისი საქმე.** მაგრამ თუ პროლეტარულ ხელისუფლების წარსული საქმე (ზავი და მიწის მოპოვება) იზიდავდა გლეხობას თავისაკენ, იმ მძიმე ვალს, რომელსაც პროლეტარული ხელისუფლება გლეხობისაგან მოითხოვდა, უკანასკნელი იტანდა იმდენათ, რამდენათაც მას რესტავრაციის შიში ჰქონდა, ხოლო პროლეტარული ხელისუფლების მომავალი პერსპექტივები მათთვის დღემდის გაუგებარი დარჩა.

რათა გლეხმა პრაქტიკულათ შეიგნოს სოციალიზმის უპირატესობა, საჭიროა კიდევ დიდი შრომა. რას აძლევდა გლეხობას მეორე ბანაკი. **მხოლოთ და მხოლოთ სიტყვებს.** მაგრამ ამ სიტყვებით თუ მას სიტყვის თავისუფლება მიეცემოდა, იგი დაახშობდა მასსებს: რადგან სიტყვა, ზეპირი თუ ბეჭდვითი—ინტელიგენციის მთავარი პროფესიონ. იარაღია. სრულიათ ცხადია, რომ ასეთ გარემოებაში „სიტყვიერების“ ასპარეზზე მეტოქეობის პირობები ორ მებრძოლ ბანაკისათვის თანასწორი არ იქნებოდა.

სრულიათ ცხადია, რომ ინტელიგენციის პესსიმისტურ ან აშკარათ კონტრ-რევოლიუციონურ სიტყვის წყაროების გახსნით, რომელთა საწინააღმდეგოთ ახალგაზრდა პროლეტარულ ხელისუფლებას არ სცალოდა, ის თვითონ მისცემდა თავის მტრებს მის დასაკლავ დანას.

„დიახ—გვიპასუხებენ—მაგრამ ეს თითქმის სამოქალაქო ომის პირველ პერიოდზე და ე. წ. „სამხედრო კომუნიზმის“ შესახებ; მაგრამ მას შემდეგ, რაც ომი დასრულდა და გლეხობა დამშვიდებული იქნა ახალი ეკონომიური პოლიტიკით „დემოკრატიულ“ პრესის დევნას ოდნავი გასამართლება არა აქვს, გარდა ბოლშევიკების თვითპყრობელობისადმი მისწრაფებისა“.

როდესაც ერთი წლის წინეთ უკრაინაში მოვიდა ცნობები, რომ ასე მსჯელობენ ჩემი ყოფილი თანამოაზრენი, ყოფილი მენშევიკ-ინტერნაციონალისტები, რომლებიც ჯერ კიდევ 1917 წლამდე დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ომის ლიკვიდაცია ევროპაში სოციალისტურ რევოლიუციის ერას გახსნის, რომლებიც ეხლაც მოითხოვენ დიქტატურის მეთოდზე უარის თქმას და იმავე დროს აუცილებლათ სთვლიან მრეწველობის ნაციონალიზაციის შენარჩუნებას, როგორც სოციალიზმისაკენ წინსვლის საწინდარს, მე მხოლოდ მიკვირდა: „აქ არ არის ყველაფერი მოფიქრებული ან არ არის ყველაფერი თქმული“—ვეუბნებოდი ჩემ თავს.

როგორ შეეძლია საბჭოთა ხელისუფლებას დაუშვას, რომ მჭენარმა, „წეს-რიგზე“, მეოცნებე წვრილ ბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ, რომელიც სიხარბით შესცქეროს ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში აღორძინებულ კაპიტალიზმს, ყოველ კუთხიდან მთავრობის მიმართ გაიძახოდეს: „ათრიეთ და ვერ გადაგვეხიდოთ! ვერას დროს ვერ მოაწესრიგებთ განსაზოგადოებრივებულ მრეწველობას!“? როგორ შეეძლია საბჭოთა ხელისუფლებას მოითმინოს ეს სამგლოვიარო ღმუილი იმ დროს, როდესაც მას გმირულ ღონისძიება უხდება სახელმწიფო მრეწველობის აღორძინებისათვის, როდესაც ნახევრათ დანგრეულ განსაზოგადოებრივებულ წარმოების ოთხი მეხუთედი, ერთის მხრით სურსათის, ნედლისა და სათბობ მასალის უქონლობის, ბაზრის სივრცის შემცირებისა და საბოტაჟის გამო და მეორეს მხრით გამოუცდელობის გამო, იწურობიან დიდის გაჭირვებით, როდესაც ისინი ჯერ-ჯერობით მძიმე ლოდათ აწვებიან სახელმწიფო ბიუჯეტს, და მაშასადამე გლეხობასაც, როდესაც, გლეხობისაგან ამავე დროს დამოკიდებულია კრედიტის გაღება.

განა სასაცილო არ არის მოთხოვნა იმისა, რომ ასეთ პირობებში საბჭოთა ხელისუფლებამ პრესის თავისუფლებით შეაიარაღოს „დემოკრატიული ინტელიგენცია“, როდესაც უამისოდაც ეს უხასიათო ინტელიგენცია ავრცელებს ჭორს და ყოველ დღე წინასწარმეტყველებს: ერთი თვის, ორი თვის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება ყველა ქარხნებს კონცესიით ან იჯარით მისცემს წინანდელ კაპიტალისტებს, როგორც ის 1918 და 1919 წლებში ამბობდა; ერთი ან ორი თვის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებას გლეხთა აჯანყება ან ძლევა მოსილი კონტრ-რევოლიუცია წალეკავსო?

როდესაც მე ერთი წლის წინეთ გავიგე, რომ „მემარცხენე“ მენშევიკები სიტყვით სოციალისტურ რევოლიუციის კურსს იცავენ და იმავე დროს მოითხოვენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება მეტათ მძიმე პირობებში განიარაღდეს და მტრებს პრესის თავისუფლება მისცეს, მე ეს მოთხოვნა გულუბრყვილოთ და უაზროთ მიმაჩნდა. ეხლა კი, როდესაც „მემარცხენე“ მენშევიკებმა თავის „რევოლიუციონურ ცრუ მორწმუნეობაზე“ უარი სთქვეს და პირდაპირ აღიარეს: უკან კაპიტალიზმისაკენ!—მე ვხედავ, რომ მათი მოთხოვნა არც ისე უაზრო იყო: „ამ უაზრობაში თავისებური სისტემა იყო!“

ა. მარტინოვი.

(შემდეგი იქნება)

ქ. სამტრედია

— უკვე დაიწყო მოქმედება სამტრედიის მუსიკალურმა სკოლამ, მიწვეულია გამგეთ ქუთაისიდან როიალის დამკვრელი ქალი სეგალისა...

— რკინის გზის პროფკავშირთა ხუთი წლის თავი აღინიშნა დიდი აღფრთოვანებით. მუშათა კლუბში შესდგა მიტინგი 10 თებერვალს; მოხსენება გააკეთეს ამხ. სპ. კიკაჩეიშვილმა და აქვს. პაპავამ, რომლებმაც გაარკვიეს რკინის გზის პროფკავშირთა რევოლიუციონური მუშაობა [illegible]

— ხუთშაბათს 15 თებერვალს [illegible] კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა მოხსენება გურიაში [illegible] სხვათა მკვლელობის შესახებ განხორციელებული მენშევიკების მიერ. გამოტანილ იქნა შესაფერი პროტესტი მენშევიკ-[illegible]ლების წინააღმდეგ.

სან-კაი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

მარქსისტულ წრეებში მეცადინეობის ცხრილი 7 მარტიდან—11 მარტამდე.

— ოთხშაბათს, 7 მარტს საღამოს 7 საათზე „სკოლის გარეშე“ სწავლების სახლში შესდგება სკოლის გარეშე სწავლების მუშაკთა წრის კრება. ხელმძღვანელი ამხ. პენიაკოვი.

— ოთხშაბათს, 7 მარტს და შაბათს 10 მარტს საღამოს 6 საათზე შესდგება მბეჭდავთა წრის კრება. ხელმძღვანელი ამხ. მედვედიევი.

— შაბათს, 10 მარტს, საღამოს 5 საათზე ტფილისის კომიტეტის შენობაში შესდგება ტფილისის მაზრის საგანგებო დანიშნულების ნაწილის წრის კრება. ხელმძღვანელი ამხ. ვალკინი.

ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

— მე-4-ე რაიკომი იუწყება, რომ ორშაბათს, 7 მარტს, საღამოს 5 საათზე რაიკომის ბინაზე შესდგება რაიკომის პლენ რაიკომის ყველა წევრთა და კანდიდ დასწრება სავალდებულოა.

პას. მგ. მდივანი რუბე

— შაბათს, 10 მარტს, საღამოს 6 საა საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტე შენობაში მე-4 რაიონულ კომიტეტთან რაიონული პარტიული სკოლა.

უჯრედების მიერ სკოლისათვის გამ ფილ ყველა ამხანაგებს წინადადება ვათ პარასკევამდე, 9 მარტამდე გამო დენ რაიკომში რეგისტრაციაზე სათანა მოწმობების მისაღებათ.

პას. მგ. მდივნის მაგ. არუსტან

— საქ. კომუნისტურ პარტიის ტ კომიტეტი წინადადებას იძლევა პარტი 9 მარტს ერთიან პარტიულ დღის წესრიგში დასვათ საკითხები:

1. თებერვლის რევოლიუციის 6 წლის
2. რუსეთის კომუნისტურ პარტიის წლის თავი. თეზისები გამოქვეყნებული დამატებით.

მდივნის მაგ. რუბე

განცხადებები

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 7 მარტს,
ტრავიატა
დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათ
კრ. 237—1—1

მიწა-ტყის პროფკავშირი
აცხადებს ყველა თავის უმუშევარ წევრების საყურადღებოდ, ისინი სამი დღის ვადაში უნდა გამოცხადდენ კავშირში. (მუშათა სახლი, ოთახი № 25)
კრ. 239—1—1 მიწა-ტყის კავშირი.

საქართველოს ტეხნიკური სააღმშენებლო ბიურო
სატსამბო
მთავარი სამმართველო: ტფილისი, თავისუფლების მოედანი № 8 ტელ. 3—26 დეპეშის მისამართი—ტფილისი, „სატსამბო“, განყოფილებანი: ბერლინში, ბუხარაში, ახალ-სენაკში.
ყოველაფერი
ელექტროფიკაციისათვის
ელექტრონის დანადგარები, ტეხნიკური მოწყობილებანი, ჰიდრავლიური სამუშაოები.
საწყობებში მუდმივად არის ყოველგვარი ელექტრ. და ტეხნიკურ მასალების დიდი რაოდენობა.
კრ. 682—0—

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდ ექიმობას საჭიროებენ.
საავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელ ნელობით. ტფილისი, ყოლოლანოვის ქ. № 20. (233—25—

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერსიტეტის
გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყ. ფილტვების—ჭლექი და გულის—სპეციალური წამ მალარიისა შეშხაპუნება 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამ კაბინეთი.
იღებს 9—12 საათ.—დილის და 5—7 ს. საღ.
ბებუთოვის ქუჩა № 23. (264—25—

მე-2 საკონსულტაციო-საექიმო კაბინეტი
მედიცინის დოქტორის
ვ. ვ. შენგელიძესი და ექიმი ვ. გ. მეუნარგიას
მიიღებიან ბავშვები ყოველგვარი რჩევა-დარიგებისათვის.
ყოველ დღე გარდა უქმეებისა საღამოს 5—6 საათამდე ბელინს № 22 ტელეფ. 1—44. (77—25—23)

ტფილისის ალმასკომის
პრეზიდიუმი
ამით აცხადებს, რომ რევიზიის გამო ალმასკომის საბინაო განყოფ მიმდინარე მუშაობა დროებით შეჩერებულია. გამონაკლისს შემთხვ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის საბინაო საკითხების შესახებ, თუ ს გადადებას არ ითმენს, უნდა მიმართონ კომუნალურ განყოფილების ამხ. ქლენტს (ოთახი № 35).
(კრ. 236 2—2) პრეზიდიუ

იყიდება კარგათ მორთული
სახლი
თავისუფალი ბინებით. ვისაც სურს ხელსაყრელად იყიდოს და გ დოს, უნდა მიმართოს მამა-დავითის ქუჩაზე № 3, ბინა 2, 11—2 5—7 საათამდე.
(190—10—9)

დაიკარგა მარიამ ქუმაშვილის სახელზე გაცემული პას № 7379, ჩაითვალოს გაუქმებულად. (251—

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პოლიგრაფიული განყოფილების მე-2 სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 1